ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 19
(11 476)

9 – 12 მარტი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გუშინ, ალექსანდრე იაშვილმა ფრაიბურგთან კონტრაქტი გააგრძელა

ნახევარმცველ ალექსანდრე იაშვილს გერმანიის საფეხბურთო კლუბ „ფრაიბურგში“ კონტრაქტის ვადა 2002 წელს უმთავრდება. კლუბის ხელმძღვანელობისა და ფეხბურთელის შეთანხმებით, ქართველი ლეგიონერი კიდევ ერთი სეზონი დარჩება ამ გუნდში. იაშვილი ამჟამად 23 წლისაა, „ფრაიბურგში“ იგი 1997 წელს ჩაირიცხა და ამ ხნის განმავლობაში კლუბში 52 მატჩი ითამაშა, გაიტანა 10 გოლი.

ამჟამად, ქართველი ფეხბურთელი ტრავმირებულ მუხლს მკურნალობს და შეიძლება უახლოესი მატჩი დორტმუნდის „ბორუსიასთან“ გამოტოვოს.

მურთაზ ხურცილავას თვრამეტი რჩეული

14 მარტს, „შევარდენზე“, საქართველოს ახალგაზრდული (ოლიმპიური) ნაკრები მორიგ ამხანაგურ მატჩს გამართავს აზერბაიჯანელ თანატოლებთან. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ 18 ფეხბურთელი შეკრიბა. უმეტესობა ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობს, ლეგიონერი ორია. ვლადიმერ კაკაშვილისთვის და ლაშა სალუქვაძისთვის ეს მატჩი სადებიუტო იქნება. მწვრთნელმა ზურაბ ხიზანიშვილსაც უხმო, რაც მისი მზადყოფნის შემოწმების კიდევ ერთი საშუალებაა.

შეხვედრას, რომელიც 13 საათზე დაიწყება, ქართველი მსაჯები გაუძღვებიან: მთავარი მსაჯია მერაბ მალაღურაძე, ასისტენტები — მამუკა ელიკაშვილი და ავთანდილ სამხარაძე, მეოთხე მსაჯია ავთანდილ შალამბერიძე.

საქაროველოს ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — გიორგი ლომაია (ლოკომოტივი). მირზა მერლანი (ვიტ ჯორჯია): მცველები — ედიკ საჯაია (ვიტ ჯორჯია), ვალერი აბრამიძე (ტორპედო), მამუკა წერეთელი (უგუნდოდ), დავით კვირკველია

იხ. მე-2 გვ.



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

პირველი ექვსეული

6 მარტი

სტუ — შევარდენი 87:74
თსუ — მაკაბი 93:91

7 მარტი

თსუ — შევარდენი 76:69
აზოტი — მაკაბი 95:90

UEFA CHAMPIONS LEAGUE

©UEFA 1992

„გალათასარაი“ — „მილანი“ 2–0

სურათზე: შევჩენკო (მუქ მაისურში) ბევრს ეცადა, მაგრამ...

ამხანაგური მატჩები:

მექსიკა — ბრაზილია 3-3
იორდანია — უნგრეთი 1-1
პერუ — გონდურასი 0-0

კახი კალაძეს ბესიკ თედორაძე შეცვლის?

წუხელ გავრცელდა ცნობა, რომ კიევის „დინამო“ კახი კალაძის შემცვლელს ისევ ამ ფეხბურთელის თანამემამულეთა შორის ეძებს. კივეელთა მხედველობის არეში უკვე მოხვდა ბესიკ თედორაძე, რომელიც, ამჟამად, 18 წლისაა, ირიცხება ბათუმის „დინამოში“ და სპეციალისტთა მიერ მიჩნეულია ერთ-ერთ ნიჭიერ მცველად. ამასთან, თედორაძე აღიარებულია უნივერსალურ ფეხბურთელად, რომელსაც უნარი შესწევს ითამაშოს როგორც ცენტრში, ისე ფლანგზე, ცოტა ხნის წინათ, ამ ნიჭიერ ფეხბურთელს თავისთან იწვევდა ვლადიკავკაზის „ალანია“, თელ-ავივის „მაკაბი“ და სიმფეროპოლის „ტავრია“.



და მაინც, ჩინელებს დამარცხებული პოლიფილდი ურჩევნიათ

7



საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

საუბარი განვლილი და მომავალი ბურის მაგჩებზე

3

„დინამო“ ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე იწვევს

დღეს, 13 საათზე დიღმის საწვრთნელ ბაზაზე საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელები პრესკონფერენციას გამართავენ.

რობერტ ბაგოთანის ფოტო

სილვაზე „თვლას“ ირკვევა

2

დათო კულუმბეგაშვილი — ია კვირიკაშვილი



ჭკვიანი მოგონებები ველოსპორტში საამაყო წარსულზე

2

გაზეთის დაბეჭდვის წინ:

● **ფეხბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. აზიის ზონა. III ჯგუფი. ყატარი — პალესტინა 2-1 (1-0), გოლები 1-0 ალ-ნაემი (31), 1-1 ელ-კაირი (54), 2-1 მუსტაფა (65); ჰონკონგი — მალაიზია 0-2 (0-0), გოლები: რაკლი (46, 47).

● **ბრემენის „ვერდერი“ დღევანდელ მატჩს გერმანიის ჩემპიონატში ლევერკუზენის „ბაიერის“ წინააღმდეგ ითამაშებს თავისი კაპიტნის ფრანკ ბაუმანის გარეშე. 25 წლის ფეხბურთელს, გუშინ, ინფექციური დაავადების დიაგნოზი დაუსვეს.**

● **ვლადიკავკაზის** „ალანიამ“ თავისი რიგები, ერთბაშად, 6 ლეგიონერით, შეავსო. ესენი არიან: რუმინელები ფლორიან მირია, მარინ ალექსანდრუ, ნიკოლაი გრიგორე, სერბი ბოსკო პეტროვიჩი, ხორვატი ტონი ბაშიჩი და ბულგარელი სვეტელენ სიმეონოვი.

● **ხერმან მაიერმა, გუშინ, მოიგო მსოფლიო თასის დასკვნითი ეტაპი სწრაფდაშვებაში, რომელიც შვედეთში გაიმართა. ეს, მისი ზედიზედ მეორე გამარჯვებაა ამ შეჯიბრებაში. ამჯერად, მაიერმა აჩვენა დრო — 24.20. მას 0,35 წამით ჩამორჩა ავსტრიელი მოთხილამურე სტეფან ებერხარტერი. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ნორვეგიელმა კენეტ სივერტსენმა.**

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

SALT LAKE 2002
TM © 1997 SLOC 36 USC 380

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 5 თვე დარჩა

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 11 თვე გვაშორებს

8–25 თებერვალი 2002 წ.

სილამაზე „თელას“ ორბიტაში

„თელა“ — სპორტული ცეკვების ერთ-ერთი პირველი კლუბი საქართველოში, პოპულარული გახდა, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. მის წარმომადგენლებს სიამოვნებით იწვევენ საერთაშორისო შეჯიბრებებზე. ჩვენში ეროვნული ფედერაციაც ამ კლუბის ხელმძღვანელთა (თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძეები) ძალისხმევით ჩამოყალიბდა. ამ დღეებში ფედერაციამ კიდევ ერთი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა მუშტაიდის ბაღში კლუბ „თელაში“. გარდა მასპინძლებისა, მონაწილეობდნენ „ელეგიის“, „ვარკეთილის“, „გრაციის“, „ლანჩხუთის“, ბაქოდან „ჩინარის“ და „სირდაშის“ სხვადასხვა ასაკის მოცეკვავეები.

წარმოგიდგენთ საუკეთესო წყვილებს. 8-10 წ. 4 ცეკვა — ოთარ ფოლოდაშვილი — ქეთი ცხადაძე („ელეგია“); ***10-13 წ. 4 ცეკვა*** — დათო მაისურაძე — თიკო ცხოვრებაძე („ელეგია“); ***იუვენალები-1. 8 ცეკვა*** — რატი გაჩეჩილაძე — ქეთი ალავერდაშვილი („თელა“); ***იუვენალი-2. 10 ცეკვა*** — გიორგი მეგრელიშვილი — ნინო გადელია („ელეგია“); გამარჯვებულები და პრიზიორები. ***იუნიორი*** — 1. ***10 ცეკვა*** — გოგიტა გონგაძე — მზია ორველაშვილი („ელეგია“); 2. ნოდარ და რუსუდან შონიები („თელა“), 3. ფირუზი მუსლიმოვი — ირა პლახოტნეკა (ბაქო, „ჩინარი“); ***იუნიორი-2. ევროპული ცეკვები:*** 1. გოგიტა გონგაძე — მზია ორველაშვილი („ელეგია“), 2. ზურაბ კიკაბიძე — თინათინ გუგავა, 3. რაფაელ ანანიკიანი — ლიკა ჭაბუკიანი (ორივე წყვილი — „თელა“); ***„ჰობი“ კლასი. 5 ცეკვა:*** 1. დავით წიგნაძე — სოფიკო კუპრეიშვილი („თელა“), 2. კახა ქაჯაია — ნინო გრიგოლია („გრაცია“), 3. ირაკლი საბაძე — თინათინ დავითაია „თელა“); ***„ჰობი“ კლასი. 8 ცეკვა:*** 1. ბაჩო ტუმალაძე — ნინო ქოთოლაშვილი, 2. ზურაბ მგელაშვილი — ვიკა კუხიანიძე (ორივე წყვილი — „გრაცია“), 3. შოთა ავაზაშვილი — ირინა ხაჩიძე („ელეგია“); ***უფროსების ჯგუფი. ლათინურ-ამერიკული ცეკვები:*** 1. გიორგი ტაბატაძე — თათული გოგიშვილი, 2. დავით კულუმბეგაშვილი — ია კვირიკაშვილი, 3. მანუჩარ მანჯავიძე — ია სოროზნიშვილი (ყველა — „თელა“).

გოგიტა გონგაძე — მზია ორველაშვილი

გიორგი ტაბატაძე — თათული გოგიშვილი

რატი გაჩეჩილაძე — ქეთი ალავერდაშვილი

კულუმბეგაშვილი და კვირიკაშვილი 9-11 მარტს მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზებენ დნეპროპეტროვსკში. იქვე იუნიორებში გამოვა გიორგი გაჩეჩილაძე — ლელა ჩქარეულის წყვილი. რამდენიმე წყვილი კი ბაქოს ღია საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. 17-18 მარტს თბილისის „ქარიშხალას“ სპორტული კომპლექსი საქართველოს ღია პირველობის მორიგ ტურს უმასპინძლებს.

იოსებ ნატროშვილი - თვის სპონსორი

თებერვალში ბევრმა იბრუნა პირი სპორტისაკენ, მეტ-ნაკლებად თითოეულმა მათგანმა შეიტანა წვლილი ქართული სპორტის წარმოჩენაში საერთაშორისო სარბიელზე და ხელი გაუმართა სპორტის მუშაკებს ადგილობრივი შეჯიბრებების დაფინანსებაში.

„ლელოს“ რედაქციამ შეაჯამა გასული თვის შედეგები და საუკეთესო სპონსორად სცნო დედოფლისწყაროში ქველმოქმედებით გამორჩეული პიროვნება ***იოსებ ნატროშვილი.*** ვულოცავთ!

ფარიკაობა საქართველოს პირველობა. იუნიორები

რ. ბაგოიანის ფოტო

ტექნიკური შედეგები

რაპირა. ვაჟები: 1. აკაკი ჯიქია (ქუთ.), 2. ირაკლი ჭელიძე, 3. ანდრეი ბრაკალოვი (ორივე — ბათ) და ირაკლი ქელბაქიანი (ქუთ); ***გოგონები:*** 1. ნათია ჩინჩალაძე (ქუთ), 2. ბელა ბალაძე (ბათ), 3. ლიკა გვანცელაძე (ქუთ) და ლელა ძნელაძე (თბ); ***დაშნა. ვაჟები:*** 1. ვაჟა ბუჯირიშვილი, 2. დათო ელბაქიძე (ორივე — თბ), 3. გიგა ლომთაძე (ქუთ) და ანდრეი აკაევი (ბათ); ***გოგონები:*** 1. ანა აბრამიშვილი (ქუთ), 2. ნინო იმნაძე, 3. ქეთინო სილაგაძე და ნატო ხრიკინა (სამივე — თბ); ***ხმალი:*** 1. ირაკლი ზამბახიძე (ბათ), 2. გერონტი ცირდავა, 3. დავით მთვარელიძე, 3. გიორგი ბახსოლიანი (სამივე — თბ).

შეჯიბრება ჩაატარა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ. მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის და ქუთაისის წარმომადგენლები.

სურათზე: მარცხნიდან — დათო ელბაქიძე, ვაჟა ბუჯირიშვილი, ანდრეი აკაევი, გიგა ლომთაძე.

საერთო ძალისხმევით...



ქვემო ქართლის და რუსთავის კრივის ფედერაციებმა, მარნეულის რაიონის გამგეობამ და რაიონის სპორტკომიტეტმა წლეულს პირველი ღია ტურნირი ჩაატარა, რომელშიაც 1987-88 წლებში დაბადებული 80 ჭაბუკი მოკრივე მონაწილეობდა. გაგაცნობთ გამარჯვებულებს. ესენი არიან: რუსთავიდან — ილია ჩიქოვანი (61 კგ), ნიკა დალალიშვილი (88,5), თენგიზ კევლიშვილი (34), გურამ გვიმრაძე (34,5), ოლეგ ვართანოვი (35), ამირან ჯანჯღავა (40), ვახტანგ მდინარაძე (44), გურამ ცალუღლიშვილი (40), ბორის კურმანოვი (57), ლაშა ჩიქოვანი (59); მარნეულიდან — გიორგი გუჯეჯიანი (52), გიგა ნავერიანი (67), გიორგი ჩართოლანი (63), ხვიჩა დადვანი (47), ვალერი ნავერიანი (52), დათო ნავერიანი (49), რამაზ ჭილლაძე (42); სოფელ გამარჯვებიდან: ბაკურ გოგოჭური (57), გოგიტა გონჯილაშვილი (40), ლაშა არდოტელი (60,5); თეთრიწყაროდან — ბორის გვიჭიანი (39); თბილისიდან ბესარიონ ზურაბიანი (66).

„ბრაზით შევყურებ ამ სურათს, უჩვევს“

პოეტის ეს გულისტკივილი სავსებით შეესატყვისება ჩვენი ველოსპორტის დღევანდელობას. საქმე ისაა, რომ ასეთი „სისხლდაცლილი“ და გაუფასურებული, როგორც ეს სახეობაა, საქართველოში, ალბათ, მეორე არ მოიძებნება. არადა, წარსულის თვალის ერთი გადავლებითაც კი დავინახავთ თუ რა მდიდარი ტრადიცია გვქონია, რა საამაყო სახელები შემორჩა ისტორიას. ყველაფერი კი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, 1885 წლიდან დაიწყო, როცა თბილისში, დიდი მთავრის ქუჩაზე (ამჟამად დ. უზნაძის) აშენდა ველოდრომი. იქიდან მოყოლებული საქართველოს ველოსიპედისტებმა 450-ზე მეტი მედალი შესძინეს სამშობლოს. ესენია: ყოფილი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები, საკავშირო რეკორდსმენები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. გავიხსენებთ მხოლოდ მათ, ვინც 5-ჯერ და მეტჯერ იყო ჩემპიონი, პრიზიორი და რეკორდსმენი: გიორგი ლეჟავა — სსრ კავშირის ოთხზის ჩემპიონი, ორგზის მეორე პრიზიორი, რვაგზის რეკორდსმენი, არკადი ხაბურზანია — სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი, ორგზის მეორე პრიზიორი, სამგზის მესამე პრიზიორი და ამდენივე გზის რეკორდსმენი, ოთარ დადუნაშვილი — სსრ კავშირის ჩემპიონი სპრინტში, 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებზე სსრ კავშირის ნაკრებში პირველ ნომრად გამოდიოდა, იყო სამგზის რეკორდსმენი, ორგზის მეორე პრიზიორი. ოლეგ პროკოპენკო, ირაკლი კავსაძე, ვლადიმერ ძებნიაური, კონსტანტინ პოპოვი, ავთანდილ გუნია, სალიდერო რბოლის ამ ოსტატთა ნადაღვლია 8 ოქროს მედალი, 14 მეორე, 12 მესამე ადგილები და 15 მსოფლიო და 20 საკავშირო რეკორდი.

1965 წელს პირველად მსოფლიო ჩემპიონი სპრინტში გახდა საბჭოთა სპორტსმენი. ეს იყო ომარ ფხაკაძე, რომელიც აღიარეს წლის ქვეყნის პირველ სპორტსმენად, როცა მანამდე ხუთეულშიც არა გვყოლია ვინმე. იგი 10 წელიწადს ინარჩუნებდა ზედიზედ ქვეყნის უძლიერესი სპრინტერის წოდებას, გახდა ორგზის მსოფლიო ჩემპიონი გიტში, სამგზის ოლიმპიური ბრინჯაოს მედალოსანი ზედიზედ.

1978 წელს თბილისელმა პეტრე ჩივარდოვმა სსრ კავშირის პირველობაზე 4 ოქროს მედალი მოიპოვა, საბჭოთა კავშირის 7-გზის ჩემპიონია, მის აქტივშია მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის სამი და ორი ბრინჯაოს მედალი.

უნიკალური მსოფლიო რეკორდი დაამყარა ლადო ადამაშვილმა 200 მეტრზე გიტში, რომელიც მხოლოდ შარშან, ავსტრალიაში ოლიმპიურ თამაშებზე გაუმჯობესდა.

ვაჟებს შესანიშნავად უბამდნენ მხარს ქალიშვილები: სტელა პრიახინა, მზია დიასამიძე, გალინა ატლანოვა და სხვა, რომლებიც სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები იყვნენ.

ამასთან, ს. პრიახინას, 1987 წელს წილად ხვდა დიდი პატივი გამოსულიყო მსოფლიოში უპოპულარეს „ტურ დე ფრანსის“ მრავალდღიან რბოლაში და პირველ ათეულში (VIII ადგილი) მოხვდა, ჩამოტოვა არაერთი მსოფლიო კლასის უძლიერესი მრბოლი, ერთ-ერთ ეტაპზე კი არავის დაუდო ტოლი და გაიმარჯვა კიდეც. ამას გარდა, სამჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, 2-ჯერ ვერცხლის პრიზიორი.

ოთხმოციანი წლების მიწურულს გამოჩნდა საგზაოკეციელო რბოლის მაღალი კლასის ოსტატი ვასილი დავიდენკო, რომელმაც ორჯერ ისახელა თავი, ჯერ ზედიზედ საკავშირო ჩემპიონატზე 200 კმ-ზე, მერე მსოფლიო მრავალდღიან რბოლაში საპატიო მეორე ადგილზე დამკვიდრდა. იგი პირველი მრბოლია საქართველოდან, რომელიც პროფესიონალთა (ატალია) შორის გამოდის.

ცხადია, ამ წარმატებათა გარკვეული წილი მწვრთნელებზე მოდის, ვინც სპეციალისტის თვალით შეხედა, აღმოაჩინა და სწორ გზაზე დააყენა მომავალი ჩემპიონი, მასთან ერთად განვლო რთული გზა ოლიმპოსაკენ, მისი აღმავლობა-დაცემის თანაზიარი იყო და წარმატების ტაქტიკური გზების ფიქრსა და ძიებაში არაერთი ღამე დასთენებია.

რომან კუპრეიშვილი

უკანასკნელ მოჰიკანად, რომლის ხელდასმით დაგვამხსოვრეს თავი საქართველოს ველოსიპედისტებმა სპორტის ოსტატი რომან კუპრეიშვილია. მისი სპორტული ნათლობა უკავშირდება ლეგენდარულ ომარ ფხაკაძის სახელს. ეს სწორედ იმ წელს მოხდა, როცა „ქართულ ელვად“ წოდებულმა ო. ფხაკაძემ მსოფლიო „სამეფო გვირგვინი“ დაიდგა. ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანის ბილიკზე სპრინტში გამარჯვებისათვის. მანადე მოგებული ჰქონდა საკავშირო ოქროს მედლები და საერთაშორისო შეჯიბრებები, მაგრამ საქმე ის იყო, რომ მისი სახელი შინაურ, ესე იგი, საქართველოს ჩემპიონატებში არ ფიგურირებდა და ცხადია, მისი სპორტული ხასიათი ვერ შეეგუებოდა ამ „ხარვეზს“, რომლის „შევსება“ იმავე, 1965 წლის საქართველოს ჩემპიონატზე ისურვა „სპრინტის მეფემ“. წარმოიდგინეთ, როგორ ღელავდა ფინალის წინ მისი ახალგაზრდა ოპონენტი რ. კუპრეიშვილი., რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრამდე არაერთი გამოცდილი სპრინტერი ჩამოიცილა გზიდან.

შეიძლება ითქვას, ამ ორთაბრძოლაში ო. ფხაკაძის მეტოქე სულაც არ ყოფილა... „ჩამორჩენილი მოწაფის“ როლში, რაც თვით გამარჯვებულმა მსოფლიო ჩემპიონმა შენიშნა და შეაქო კიდეც მეტოქე, რომლისთვისაც საქართველოს მეორე პრიზიორობა „სპრინტის მეფის“ შემდეგ, დაგვერწმუნებით, ხუმრობა საქმე არ იყო. იმ დასამახსოვრებელ დებიუტს არაერთი გამარჯვება მოჰყვა. მათგან ყველაზე საპატიო საქართველოს თასის მოპოვება იყო 1968 წელს სპრინტში, სადაც მძაფრ ბრძოლაში აჯობა გ. ასანიძეს და გ. აბეანდაძეს. მანამდე მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა „შრომითი რეზერვების“ საკავშირო პირველობაზე, გამოირჩეოდა ჭაბუკთა თბილისისა და საქართველოს პირველობებში — 200 მეტრზე გიტში ზედიზედ გადიოდა მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე. შემდეგ ორჯერ, ო. ფხაკაძესთან ერთად მოიგო საქართველოს ჩემპიონატი გამოთიშვით გუნდური რბოლა — „იტალიანკა“.

ომარ ფხაკაძესთან ურთიერთობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ოსტატის გამოცდილი თვალი კარგად ამჩნევდა ახალგაზრდა მრბოლის მუყაითობასა და საზრიანობას, 1978 წელს ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლაში, რომლის დირექტორი თავად იყო, რ. კუპრეიშვილი მწვრთნელად მიიწვია. ეს მისთვის მოულოდნელი იყო, ვინაიდან ჯერ არ აპირებდა აქტიური სპორტიდან წასვლას.

— და თუ წავალ, — განუცხადა რ. კუპრეიშვილმა, — სულ სხვა დარგში ვიმუშავებ“.

— „ამას ყოველთვის მოესწრები, — უთხრა ო. ფხაკაძემ. — ახლა კი ძალიან მჭირდები და მხარში ამომიდექი. სპორტიდან არ უნდა წახვიდე. ფიქრი შეგიძლია და გამართლებული რისკის გაწევაც... ნახავ, ჩემთან ერთად ბევრი მოგილოცავს სამწვრთნელო ასპარეზზე მიღწევებს...

ფხაკაძე არ შემცდარა, როცა მას ქვეყნის ნაკრების მწვრთნელის პოსტი ჩააბარა. დიდი ლოდინი არ დასჭირვებია, ახალგაზრდა მწვრნელის აღსაზრდელები რომ გამოჩენილიყვნენ ქვეყნის პირველობებსა თუ საერთაშორისო ტურნირებში. ესენი იყვნენ: საკავშირო სტარტების გამარჯვებულები და პრიზიორები, სპორტის ოსტატები ო. გველესიანი, დ. ტარასენკო, ა. სხირტლაძე, ს. ზასლავსკი, გ. ნასყდაშვილი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვ. ადამაშვილი, პრიზიორი ა. ხუბულავა, ტ. გიგოლაევი, გ. მუმლაძე, თბილისის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირის — „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის“ გამარჯვებული ავთანდილ მიკუჩაძე. მანვე სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა. მისმა მოწაფეებმა 1986 წელს საკავშირო პირველობაზე ორმაგი გამარჯვება იზეიმეს — გიტში და ჯგუფურ რბოლაში.

რაც შეეხება ლადო ადამაშვილის მსოფლიო რეკორდს 200 მეტრზე სვლით, იგი 1990 წელს მოსკოვის „კრილატსკოეს“ ტრეკზე დამყარდა და 10,099 წუთს უდრიდა.

მისი „ბედის სიმღერა“, როგორც მწვრთნელისა, 1992 წელს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში იყო იუნიორთა მსოფლიო პირველობაზე, რომელშიც 48 ქვეყანა მონაწილეობდა. იქ პირველად გამოვიდა დამოუკიდებლად საქართველოს ნაკრები, რომელსაც იგი ედგა სათავეში. 1 კმ-იან გიტში მეათე ადგილზე გავიდა თბილისელი ვალერი პოტაპოვი. ამით თავდება საქართველოს ველოსპორტის ეპოპეა...

დღეს საუკუნეზე მეტი ხნის ტრადიცია ნულზეა დასული და ვერაფრით ვიწონებთ თავს. ამასთან დაკავშირებით, რომან კუპრეიშვილმა თქვა: „ველოსპორტი ძვირადღირებული სპორტია, ამიტომაც, ჩვენს მრბოლებს, ისეთ შეზღუდულ პირობებში, როგორშიც დღეს ვართ, ბევრს ვერ მოსთხოვ. მახსენდება ადრინდელი საქართველოს პირველობები, როცა თავს ვერ ვაღწევდით მონაწილეობის მსურველთა რაოდენობას“.

რაც შემეხება მე, ჩვენში შექმნილი ვითარების გამო კარგა ხანია მწვრთნელობას თავი დავანებე!.. თაობათა ასეთი აღმზრდელის გადაწყვეტილება ნამდვილად დამაფიქრებელია.

უშანგ ჯიჯინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი



„ლოკომოტივი“ ალარ ჩერდება

პირველი ეტაპი დასასრულს უახლოვდება. უმაღლესი ლიგის გუნდებიდან მხოლოდ ლიდერის — „ლოკომოტივის“ პოზიციებია მყარი, როგორც სპორტული, ისე მატერიალური თვალსაზრისით. პირველი ექვსეულის სხვა გუნდები, რომ არაფერი ვთქვათ ქვედა ექვსეულის გუნდებზე, ნაკლები სტაბილურობით გამოირჩევიან. ამის მიზეზი სხვადასხვაა: ზოგმა სრულყოფილი მოსამზადებელი პერიოდი ვერ გაიარა, ზოგს ძირითადი შემადგენლობა მკვეთრად შეუთხელდა, ზოგნი კი საწვრთნელმა შეკრებამ ალბათ გადაღალა კიდეც. XVIII ტურში ანტირეკორდი აღინიშნა, ეროვნულ ჩემპიონატში პირველად (იმედია უკანასკნელად) თორმეტმა გუნდმა მხოლოდ ორი გოლის გატანა მოახერხა. შემდეგ ტურში ვითარება გამოსწორდა, 14 გოლი გავიდა, დაძაბულობასთან ერთად მატჩების სანახაობითმა მხარემაც იმატა. იმედია ხვალინდელი ტური გამონაკლისი არ იქნება, მით უფრო მაშინ, როცა სანახავი და საქმიანი ანუ გამორჩეული მატჩები ტურში საკმაოა.

ხვალ XX ტურში ითამაშებენ:

ვიტ ჯორჯია — თსუ: მთავარი მსაჯი — მ. მაისურაძე, ასისტენტები — ჯვარიძე, ურუშაძე, მეოთხე მსაჯი — ორდინიძე, ინსპექტორი — ნ. კაკულია.

იბერია — სიონი: მთავარი მსაჯი — დ. სანაია, ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — მესხი, ინსპექტორი — ლ. ყიფიანი.

გორდა — ტორპედო: მთავარი მსაჯი — ლ. ფანიაშვილი, ასისტენტები ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი — ანიაშვილი, ინსპექტორი — ე. სილაგავა.

მერანი — დინამო (თბ): მთავარი მსაჯი — ა. კრიჭაშვილი, ასისტენტები — ელიკაშვილი, დოლიძე. მეოთხე მსაჯი — შილაკაძე. ინსპექტორი — ა. მილჩენკო.

დილა — დინამო (ბთ): მთავარი მსაჯი — ა. შალამბერიძე, ასისტენტები — გაბრიაძე. რუსიშვილი, მეოთხე მსაჯი — დოგრაშვილი, ინსპექტორი — გ. ფირცხალავა.

კოლხეთი 1913 — ლოკომოტივი: მთავარი მსაჯი — მ. მალაღურაძე, ასისტენტები — ბრეგვაძე, სილაგავა, მეოთხე მსაჯი — კვარაცხელია, ინსპექტორი — ო. გუნთაძე.

აქვე გაცნობებთ, რომ XVIII ტურის გადატანილი მატჩი მერანი-91-ტორპედო 14 მარტს გაიმართება.



საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

მატჩები, შანსები

სამი ტურიც და დასრულდება უმაღლესი ლიგის გათამაშების პირველი ეტაპი. ცხადია, გულშემატკივრებს აინტერესებთ რომელი გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს.

ლოკომოტივი: შინ — დილა, სტუმრად — კოლხეთი-1913, მერანი-91.

ტორპედო: შინ — თსუ, სტუმრად — გორდა, მერანი-91, ვიტ ჯორჯია.

დინამო (თბ.): შინ — იბერია, სტუმრად — მერანი-91, გორდა.

ვიტ ჯორჯია: შინ — თსუ, ტორპედო, სტუმრად — კოლხეთი-1913.

კოლხეთი-1913: შინ — ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია, სტუმრად — დილა.

მერანი-91: შინ — დინამო (თბ.), ტორპედო, ლოკომოტივი, სტუმრად — დინამო (ბთ).

დინამო (ბთ.): შინ — მერანი-91, სტუმრად — დილა, იბერია.

სიონი: შინ — გორდა, სტუმრად — იბერია, თსუ.

გორდა: შინ — ტორპედო, დინამო (თბ.), სტუმრად — სიონი.

თსუ: შინ — სიონი, სტუმრად — ვიტ ჯორჯია, ტორპედო.

დილა: შინ — დინამო (ბთ), კოლხეთი-1913, სტუმრად — ლოკომოტივი.

იბერია: შინ — სიონი, დინამო (ბთ.), სტუმრად — დინამო (თბ).

გადავხედოთ სატურნირო ცხრილს და ცოტა „წავიმარჩიელოთ“.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ლოკომოტ.	19	16	1	2	35-7	49
ტორპედო	18	13	3	2	30-6	42
დინამო (თბ.)	19	13	2	4	45-17	41
ვიტ ჯორჯია	19	9	6	4	26-14	33
კოლხ. 1913	19	8	5	6	21-16	29
მერანი-91	18	7	6	5	18-17	27
დინამო (ბთ.)	19	6	4	9	24-27	22
სიონი	19	5	4	10	13-28	19
თსუ	19	5	3	11	19-33	18
გორდა	19	3	8	8	14-24	17
დილა	19	4	3	12	13-35	15
იბერია	19	0	3	16	3-37	3

როგორც ხედავთ, პირველი ექვსეული, რომელიც ბრძოლას გააგრძელებს მედლებისთვის, თითქმის გარკვეულია. „თითქმის“ იმიტომ, რომ იქ მოხვედრის თეორიული შანსი ჯერ კიდევ შერჩათ ბათუმელ დინამოელებს, რომლებმაც სანუკვარი ოცნების მისაღწევად შინ უნდა დაამარცხონ უშუალო მეტოქე მერანი და ორი აუტსაიდერი გუნდი, იმავდროულად ავჭალელებმა წარუმატებლად უნდა იასპარეზონ პირველ სამ ადგილზე მყოფ გუნდთან. ვითომ ასე მოხდება? ძალიან გვეეჭვება.

ვფიქრობთ, მეტად საინტერესოდ უნდა წარიმართოს ბრძოლა როგორც საპრიზო ადგილებისათვის, ისე უმაღლეს ლიგაში დასარჩენად. თუ გავითვალისწინებთთ იმ გარემოებას, რომ გათამაშების მეორე ეტაპზე გუნდებს დაგროვილი ქულები გაუნახევრდებათ, ის უპირატესობა, რომელიც ახლა ერთ კლუბს მეორესთან აქვს, თვალსა და ხელს შუა შეიძლება გაქრეს. ამიტომ 7-8 ქულიანი განდიკაპი, რომელიც „ლოკომოტივს“ „ტორპედოსგან“ და თბილისის „დინამოსგან“ ჰყოფს, დიდი ვერაფერი უპირატესობაა, ისევე როგორც არ დაუკარგავს გადარჩენის იმედი თავად ბოლო ადგილზე მაჩანჩალა სამტრედიულ გუნდს.

არ ვიცით, ვინ როგორ თვლის, მაგრამ გათამაშების ამ სისტემით ჩატარება გამართლებული უნდა იყოს. აშკარად იკლო არაფრისმომცემმა, უინტერესო თამაშებმა, თითოეულ ქულას, გოლს, ფასი დაედო, შედეგად ინტრიგა მოეძალა ჩვენს ჩემპიონატს, ეს კი უთუოდ დააბრუნებს მაყურებელს სტადიონზე.

პირველი ლიგის გათამაშებაც ასევითვე სისტემით ტარდება. პირველი ეტაპის დასრულებამდე აქ ოთხი ტური დარჩა. აქაც გადავხედოთ დარჩენილი მატჩების კალენდარს.

გურია-ლოკომოტივი-2: შინ — თორი, თბილისი, სტუმრად — მეტალურგი, სამგურალი.

ცხინვალი: შინ — სამგურალი, დინამო (ზ.), სტუმრად — შუქურა, ოკეანე.

მილანი (წნ.): შინ — თბილისი, შუქურა, სტუმრად — სამგურალი, დინამო (ზ).

შუქურა: შინ — ცხინვალი, ივერია, სტუმრად — კოლხეთი, მილანი.

მეტალურგი: შინ — გურია-ლოკ.-2, თორი, სტუმრად — ივერია, თბილისი.

სამგურალი: შინ — მილანი, გურია-ლოკ.-2, სტუმრად — ცხინვალი, ივერია.

თორი: შინ — ოკეანე, კოლხეთი, სტუმრად — გურია-ლოკ.-2, მეტალურგი.

დინამო (ზ.): შინ — კოლხეთი, მილანი, სტუმრად — ოკეანე, ცხინვალი.

კოლხეთი: შინ — შუქურა, ოკეანე, სტუმრად — დინამო (ზ.), თორი.

ივერია: შინ — მეტალურგი, სამგურალი, სტუმრად — თბილისი, შუქურა.

ოკეანე: შინ — დინამო (ზ), ცხინვალი, სტუმრად — თორი, მეტალურგი.

თბილისი: შინ — ივერია, მეტალურგი, სტუმრად — მილანი, გურია-ლოკ.-2.

გურია-ლოკ2	18	11	4	3	28-20	37
ცხინვალი	18	10	3	5	40-19	33
მილანი (წ)	18	10	3	5	26-15	33
შუქურა	18	10	3	5	25-14	33
მეტალურგი	18	9	6	3	28-16	33
სამგურალი	18	9	3	6	30-17	30
თორი	18	8	2	8	21-15	26
დინამო (ზ)	18	7	3	8	26-34	24
კოლხეთი (ხ)	18	4	5	9	11-22	17
ივერია	18	4	3	11	11-31	15
ოკეანე	18	3	3	12	15-35	12
თბილისი	18	3	2	13	7-30	11

I ლიგა. პრეტენდენტი შვიდია

უმაღლეს ლიგასთან ერთად გზას გაუჭა პირველი ლიგაც. ნაკლები ინტერესი და დაძაბულობა, არც მის თამაშებს აკლია. სატურნირო ცხრილში გვარიანი სიმჭიდროვეა. დღევანდელ ტურში ორი მნიშვნელოვანი მატჩი გაიმართება: ლიდერი „გურია“ საუკეთესო ექვსეულის ერთ-ერთ პრეტენდენტს ბორჯომის „თორს“ მასპინძლობს, „ცხინვალი“ კი წყალტუბოს „სამგურალს“ მიიღებს. გუნდებს შორის სხვაობა სულ სამი ქულაა, რაც ერთიორად ზრდის მატჩისადმი ინტერესს. დღეს გასამართი მატჩების გარდა პირველი ეტაპის გასრულებამდე კიდევ სამი ტურია, რომელიც საბოლოოდ განალაგებს გუნდებს ზედა და ქვედა იერარქიაში. მერე კი მეტოქეობას კონკრეტული სამიზნე გამოუჩნდება. ერთნი უმაღლესი ლიგის საგზურისთვის იბრძოლებენ, მეორენი პირველ ლიგაში დასარჩენად. დღეს, XIX ტურში ითამაშებენ:

გურია-ლოკომოტივი-2 — თორი
ივერია — მეტალურგი
მილანი — თბილისი
ცხინვალი — სამგურალი
კოლხეთი (ხ) — შუქურა
ოკეანე — დინამო (ზ)

რეგიონებშიც იწყება

23 მარტს დაიწყება საქართველოს ჩემპიონატის რეგიონული ლიგის აღმოსავლეთი და ცენტრალური ზონების მეორე წრე.

თბილისის ფეხბურთის ფედერაცია მონაწილე კლუბებს გაცნობებთ, საბუთების რეგისტრაციისა და საწევრო შესატანების დაფარვის გრაფიკს.

რიცხვი დრო.საათი გუნდი

13 მარტი	11-12	ჭაბუკიანი
	12-13	„ალაზანი“ (გურჯაანი)
	13-14	„ხალიბი“ (რუსთ.)
14 მარტი	11-12	„დილა-2“ (გორი)
	12-13	„ვიტ ჯორჯია-2“ (თბ.)
	13-14	ს/ა „იბერია“
15 მარტი	11-12	„ოლიმპიკი“ (თბილისი)
	12-13	„საბურთალო“ (თბ.)
	13-14	„ამირანი“ (ოჩამჩ.)
16 მარტი	11-12	„მრეტები“ (თბ.)
	12-13	„ვალენსია“ (თბ.)
	13-14	ლოკომოტივი-3 (თბ.)
17 მარტი	13-14	„კავკასიონი“ (თბ.)
	14-15	„სამგორი“ (გარდაბანი)
	15-16	„ასპინძა“
18 მარტი	14-15	„ცხუმი“ (თბილისი)
	15-16	ასკ (თბილისი)
	16-17	შსს აკადემია (თბ.)
19 მარტი	11-12	„თბილისი-2“
	12-13	„ზოოვეტი“ (თბ.)
	13-14	„დინამო-2“ (თბ.)
	14-15	„მესხეთი“ (ახალციხე)

შენიშვნა: ფედერაცია გაცნობებთ, რომ საბუთები არ მიიღება და გუნდი არ დაიშვება ჩემპიონატში, თუ საწევრო და საჯარიმო დავალიანებები არ დაიფარება მთლიანად.

თბილისის ფეხბურთის ფედერაცია



მეორე ქართველი შოგლანდიაში

როგორც იქნა, საშველი დაადგა საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველის ზურაბ ხიზანიშვილის გაჭიანურებულ ტრანსფერს — 2003 წლის ზაფხულამდე იგი გიორგი ნემსაძის თანაგუნდელი, შოტლანდიის პრემიერ-ლიგის ბინადრის — „დანდის“ წევრი იქნება. სანამ „დანდის“ ხელმძღვანელობა საჭირო ფორმალობებს მოაგვარებს და ფეხბურთელისთვის სამუშაო ვიზას გააფორმებს, ხიზანიშვილი „დანდიში“ ივარჯიშებს, მერე არსებული წესის თანახმად, თბილისში ჩამოვა და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოში მიიღებს სათანადო საბუთებს.

ერთი მაგჩით და პიროგითი დისკვალიფიკაციით

XXI საუკუნის სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის პირველი, გუშინწინდელი სხდომა შარშან მომხდარი დარღვევის გარჩევით დაიწყო. ზუგდიდში, ადგილობრივი „დინამოსა“ და ქობულეთის „შუქურას“ მატჩში მომხდარმა ინციდენტმა, რომლის ერთ-ერთი გამომწვევი „დინამოს“ პრეზიდენტი გელა ბუკია იყო, პირველ რიგში გუნდი აზარალა. ზუგდიდელებს ტექნიკური წაგება 0-3 ჩაეთვალათ. სამეგრელოს რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, სტადიონს პირობითი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, ხოლო სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტმა ბუკიას ფეხბურთში მოღვაწეობა აუკრძალა. ეს იყო დეკემბერში. ახლა კომიტეტი აღნიშნულ საკითხს კიდევ ერთხელ მიუბრუნდა, ზუგდიდის სტადიონის საკითხი განიხილა და დაადგინა: 500 ლარი ფულადი ჯარიმა, სტადიონის ერთთამაშიანი და პირობითი დისკვალიფიკაცია სეზონის ბოლომდე.

უმაღლესი ლიგის XIX ტურის მატჩში, თსუ-ს და „გორდას“ შორის ორი ყვითელი ბარათის გამო, გაძევებული სტუდენტი ზვიად გვაზავა ერთ მატჩს გამოტოვებს და 50 ლარს გადაიხდის. მისი თანაგუნდელი ზურაბ მეტრეველი XVIII ტურში „იბერიასთან“ მატჩში ორი გაფრთხილების მიღებისთვის გააძევეს, მაგრამ ფეხბურთელმა მსაჯის ეს გადაწყვეტილება გინებით „გააპროტესტა“, რის გამოც კომიტეტის წევრებისგან უფრო მკაცრი სასჯელი მიიღო: 3 მატჩით დისკვალიფიკაცია და 150 ლარის ჯარიმა. სულ ეს იყო. სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის პირველი სხდომა მცირე დროში — 30 წუთში დამთავრდა.

საბა ლომინაძე

გურამ პეტრიაშვილი 60 წლისაა

თბილისის „დინამოს“ 60-იანი წლების „ოქროს ბიჭების“ თაობის ღირსეულ წარმომადგენელს — ვეტერან ფეხბურთელს გურამ პეტრიაშვილს 8 მარტს 60 წელი შეუსრულდა.

დაუღალავ მოთამაშედ ცნობილი ფეხბურთელი „დინამოს“ ღირსებას 1962-1973 წლებში იცავდა. ერთი წელიწადი (1965) ჭუთაისის ტორპედოში იყო. უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 281 მატჩი (269 — დინამოში, 12 — ტორპედოში). გაიტანა 13 გოლი (დინამოში).

1964 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ოთხჯერ. (1967, 1969, 1971, 1972 წწ.) მოიპოვა ბრინჯაოს მედლები.

ბატონი გურამი დღესაც მხნეადაა, ჩვეულად მშრომელი და დაუღალავია. ვულოცავთ ვეტერანს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და ბედნიერებას.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იუბილეს, დაბადების 60 წლისთავს ულოცავს ვეტერან ფეხბურთელს ***გურამ პეტრიაშვილს.*** უსურვებს მას ბედნიერებას, ჯანმრთელობას და სიკეთეს პირად ცხოვრებაში.

გსურთ სამ თვეში უცხო ენის შესწავლა?

მიაკითხეთ „ელიტა სკ“-ს. ენის საუკეთესო სპეციალისტები შეგასწავლიან ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, თურქულ და რუსულ ენებს.

გაიცემა სერთიფიკატები

გსურთ კომპიუტერის შესწავლა? მიაკითხეთ „ელიტა სკ“-ს

„ელიტა-სკ“ საერთაშორისო კორპორაცია Es Vita Inc-თან ერთად ენის დახვეწის და პრაქტიკის მიზნით აგზავნის სკოლის მოსწავლეებს და სტუდენტებს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის განვითარებულ ქვეყნებში.

ERC

„ელიტა სკ“
ELITE-RC CO.LTD
უცხო ენების და კომპიუტერის სწრაფი კურსები
თბილისი-380077, ვაჟა-ფშაველას 44 (მ. დელისი), ტელ.: 39-87-25,
E-mail: erc@ti.net.ge
www.elite-RC.com

ჩემპიონთა ლიგა

მეორე ჯგუფური გურნირი, მიმოხილვა

A ჯგუფი

შტურმი (ავსტრია) — ვალენსია (ესპანეთი) 0-5
აიალა (5), კარიუ (50), კილი გონსალესი (60), ალონსო (88, 90)

ერთმანეთს ჯგუფის ლიდერები შეხვდნენ და ყველა ცხარე ბრძოლის მოლოდინში იყო, მაგრამ ასე არ მოხდა — სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო. ამ მოგებით „ვალენსიამ" მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა, ხოლო „შტურმს" საამისოდ მხოლოდ თეორიული შანსები დარჩა — ავსტრიელებმა მანჩესტერში 2-3 ბურთის სხვაობით უნდა მოიგონ.

სტუმრებმა ავსტრიაში უკვე მატჩის დასაწყისშივე გახსნეს ანგარიში, როცა მენდიეტას ჩაწოდებულ კუთხურს მცველმა აიალამ თავური შეაგება. „შტურმმა" რამდენიმე საპასუხო კონტრშეტევა განახორციელა. ეს იყო და ეს, ესპანელებმა ხელთ იგდეს უპირატესობა, რაც ეფექტურ გოლებში გარდასახეს, მით უმეტეს, ამ დროს მინდვრიდან გაძევებული პრილასნიგის გარეშე თამაშობდნენ.

ივიცა ოსიმი, „შტურმის" მთ. მწვრთნელი: „გეთანხმებით, სტუმრებმა გვაჯობეს, მაგრამ არა ისე, რომ ხუთბურთიანი სხვაობით მოეგოთ. მეორე ტაიმში ვა-ბანკზე წავედით და რამდენიმე დასანანი გოლი გავუშვით".

ჰექტორ კუპერი: „ვალენსიას" მთ. მწვრთნელი: „მასპინძელთა გუნდი პრილასნიგის გაძევების შემდეგ დანებდა. ჩვენ სწორი ტაქტიკით ვითამაშეთ და დამსახურებულად გავედით მეოთხედფინალში".

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — მანჩესტერი (ინგლისი) 1-1
1-0 სეიტარიდისი (25), 1-1 სჭოულზი (90).

მიმდინარეობდა მსაჯის მიერ დამატებული მეორე წუთი, როცა პოლ სჭოულზმა ანგარიში გაათანაბრა. ახლა ინგლისელებს ეძლევათ მშვენიერი შანსი გავიდნენ მეოთხედფინალში — ისინი ავსტრიელებს შინ მიიღებენ.

ათენში მატჩი დაძაბულად წარიმართა, მასპინძლები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ, რაც პირველ ტაიმში გოლად გარდასახეს. „პანათინაიკოსს" კიდევ შეეძლო ბარტეზის კარის აღება, მაგრამ ფრანგმა მეკარემ ამის საშუალება არ მისცა. ინგლისელები მხოლოდ მატჩის მიწურულს გააქტიურდნენ, ისინი ბევრს უტევდნენ და საწადელსაც მიაღწიეს.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ვალენსია	5	2	3	0	8-1	9
მანჩესტერი	5	2	3	0	7-3	9
შტურმი	5	2	0	3	4-10	6
პანათინაიკოსი	5	0	2	3	3-8	2

13.03 ვალენსია — პანათინაიკოსი
13.03 მანჩესტერი — შტურმი

B ჯგუფი

გალათასარაი (თურქეთი) — მილანი (იტალია) 2-0
ჰაჯი (20), ჟარდელი (86)

როგორც ეტყობა, თურქები არ აპირებენ შარშანდელივით დაკმაყოფილებას, როცა უეფას თასს დაეუფლნენ. ამჯერად ჰაჯიმ და მისმა მეგობრებმა ვადამდე გაინაღდეს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გამოსვლა. მათ აშკარად დაჯაბნეს მილანელები, რომლებმაც ისე უხეიროდ იასპარეზეს, რომ მთელი მატჩის მანძილზე ერთი საგოლე მომენტი ვერ შექმნეს ტაფარელის კართან.

დეპორტივო (ესპანეთი) — პსჟ (საფრანგეთი) 4-3
0-1 ოკოჩა (29), 0-2 0-3 ლერუა (43, 55), 1-3 პანდიანი (57), 2-3 ტრისტანი (60), 3-3, 4-3 პანდიანი (76,84).

„დეპორტივომ" ნამდვილი გმირობა ჩაიდინა — გუნდი თითქმის ტაიმნახევარი საკუთარ მინდორზე დიდი ანგარიშით აგებდა, მიუხედავად ამისა, შეცვლაზე გამოსული ფეხბურთელების — პანდიანის და ტრისტანის გარჯის წყალობით ჯერ ანგარიში გაათანაბრა, მერე კი გამარჯვების გოლიც გაიტანა.

მეოთხედფინალში გასასვლელად ესპანელებმა ბოლო ჯგუფური მატჩი მილანში არ უნდა წააგონ.

გალათასარაი	5	3	1	1	6-4	10
დეპორტივო	5	3	0	2	9-6	9
მილანი	5	1	3	1	5-6	6
პსჟ	5	0	2	3	6-10	2

13.03 მილანი — დეპორტივო
13.03 პსჟ — გალათასარაი

C ჯგუფი

არსენალი (ინგლისი) — სპარტაკი (რუსეთი) 1-0
ანრი (82)

მეოთხედფინალში გასასვლელად „სპარტაკს" მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს, ამიტომ მოსკოველებმა მატჩი ორი ნომინალური ფორვარდით — ირისმეტოვით და რობსონით დაიწყეს. მიუხედავად ამისა, მასპინძლები მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდნენ საგრძნობ ტერიტორიულ უპირატესობას, განსაკუთრებით ეს მეორე ტაიმზე ითქმის, როცა „არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა შეცვლაზე გამოიყვანა ვილტორდი და კანუ. ყველაფერი მატჩის ბოლოს გადაწყდა, როცა კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს ანრიმ მშვენიერი თავური დაუხვედრა.

ლიონი (საფრანგეთი) — ბაიერნი (გერმანია) 3-0
ვოვუ (13,20), ლეგლი (79)

ფრანგებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და მიუხედავად სტუმართა გუნდის მეკარის — კანის თავგანწირული თამაშისა, მატჩის დასაწყისშივე ორგოლიანი უპირატესობა მოიპოვეს. ორივე შემთხვევაში ყველაფერი გადაწყვიტა მასპინძელთა გოლეა-დორის გოვუს ინდივიდუალურმა ოსტატობამ.

მეორე ტაიმი „ბაიერნმა" უფრო აგრესიულად ჩაატარა. კუფურის ნაცვლად შეცვლაზე შემოსულმა იანკერმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა, ისევე როგორც სალიხამიჯიჩმა და ელბერმა. ფრანგებმა აუღელვებლად მოიგერიეს გერმანელთა შეტევები, მერე კი მატჩის გმირმა გოვუმ ტარნატი მოატყუა და საგოლე პასი მიაწოდა ლეგლის, რომლის დარტყმა უზადო გამოდგა.

ბაიერნი	5	3	1	1	7-5	10
არსენალი	5	2	2	1	6-7	8
ლიონი	5	2	1	2	7-3	7
სპარტაკი	5	1	0	4	4-9	3

14.03 სპარტაკი — ლიონი
14.03 ბაიერნი — არსენალი

D ჯგუფი

რეალი (ესპანეთი) — ლიდსი (ინგლისი) 3-2
0-1 სმიტი (6), 1-1 რაული (7), 2-1 ფიგუ (41), 2-2 ვიდუკა (54), 3-2 რაული (60).

ორივე მეტოქეს მეოთხედფინალში გასვლა განაღდებული ჰქონდა, გასარკვევი მხოლოდ ის იყო, ვინ დაიკავებდა პირველ ადგილს, რომელიც მეოთხედფინალის კენჭისყრისას ერთგვარ უპირატესობას იძლევა — ჯგუფში გამარჯვებული პირველ თამაშს სტუმრად ატარებს.

ინგლისელებმა ანგარიში გახსნეს „რეალის" მცველთა პოზიციური შეცდომის წყალობით, იქვე „რეალმა" საპასუხო „ჩხვლეტა" განახორციელა და რაულმა საპასუხო გოლი გაიტანა. მერე კი ფიგუმ გაიბრწყინა, რომელმაც ელრემის მშვენიერი გადაცემა გოლად აქცია.

მეორე ტაიმში კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს ავსტრალიელმა ვიდუკამ უზადო თავური შეაგება, მაგრამ სტუმართა სიხარული ნაადრევი გამოდგა: ფიგუს ფილიგრანული გადაცემა რაულმა გოლად გარდასახა.

ლაციო (იტალია) — ანდერლეხტი (ბელგია) 2-1
1-0 კ. ლოპესი (40), 1-1 სტოიკა (49), 2-1 ბარონიო (77)

ჯგუფის აუტსაიდერებს ამ მატჩამდე ყველაფერზე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული. „ლაციოს" თავკაცმა ძირითადი შემადგენლობის ბევრი ვარსკვლავი დასვენა. ასე, მინდორზე არ გამოსულან პერუცი, ნედვედი, სალასი, კრესპო, ფავალი.

მიუხედავად ამისა, იტალიელებმა ეს საპრესტიჟო მატჩი მოიგეს და ერთგვარად შეარბილეს ის ცუდი შთაბეჭდილება, რომელიც ბოლო შეხვედრებში დატოვეს.

რეალი	5	4	1	0	14-7	13
ლიდსი	5	3	0	2	9-7	9
ლაციო	5	1	1	3	6-8	4
ანდერლეხტი	5	1	0	4	5-12	3

14.03 ლიდსი — ლაციო
14.03 ანდერლეხტი — რეალი.

ბავშვთა ფეხბურთი

„ბერმუხა" ამრავლებს წარმატებებს

1990 წელს დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა 12 გუნდის მონაწილეობით კიდევ ერთი ტურნირი გაიმართა ამ დღეებში, რომელსაც დიდუბის მძლეოსნობის მანეგმა უმასპინძლა. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ თბილისის საფეხბურთო სპორტსკოლების და გორის ორი გუნდი.

ნახევარფინალში „ბერმუხამ" მოუგო „ოლიმპიას" 2-1, „მერანმა" (91) — „ივერიას" 1-0. III ადგილი ხვდა „ივერიას". ფინალში „ბერმუხამ" (კლუბის პრეზიდენტი ტ. ბელაშვილი, მწვ. ა. ჩადუნელი) დაძაბულ ბრძოლაში სძლია „მერან-91"-ს (მწვრთნელი დ. ძაგანია) 1-0 და თასი მოიპოვა. გამოვლინდნენ პერსპექტიული ფეხბურთელები: თავდამსხმელი — დავით კოდუა („ივერია"), მცველი — როსტომ რასოიანი („მერანი"), მეკარე — როდიონ გეგია („ბერმუხა"), ნახევარმცველი — ვასიკო ფურცელაძე („მერანი"), ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად მირიან დვალიშვილი („ბერმუხა") დაასახელეს.

აგრარული უნივერსიტეტი - ბავშვთა ფეხბურთს!

აგრარული უნივერსიტეტის ბაზაზე 1987 წელს დაბადებულებმა იასპარეზეს. ეს იყო დავით გოგნიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თბილისის სპორტსკოლების 10, აგრეთვე აგრარული უნივერსიტეტის „სუ-ბერმუხას" ორი გუნდის მონაწილეობით. ფინალში „ბერმუხა-1" შეხვდა „მართვეს" და აჯობა 6-0. მესამე ადგილზე გავიდა „ბერმუხა-2", რომელმაც სძლია „ავაზა-2"-ს 3-0.

სპეციალური პრიზები გადაეცათ საუკეთესო მოთამაშეებს: მეკარის — გიორგი გიგაურს, მცველის — ივანე შვიდბიჭაშვილს, თავდამსხმელის — გიორგი გულორდავას.

გამარჯვებული გუნდი აგრარული უნივერსიტეტის ბაზაზე ემზადება. ამ გუნდში არიან ნიჭიერი ფეხბურთელები: გურამ მერაბიშვილი, გიორგი ყავრაშვილი, თამაზ პაპავა, ენვერ სუნიევი, ბორის ყვანია და სხვ. მწვრთნელია ტარიელ ბოლაშვილი. საგულისხმოა, რომ კლუბის ფეხბურთელები წარმატებით გამოდიან ყველა ასაკობრივ შეჯიბრებაში, როგორც თბილისის, ისე საქართველოს მასშტაბით. 1985 წლიანები, მაგალითად, თბილისის პირველობაში I წრის შემდეგ ლიდერები არიან, ნორჩ ფეხბურთელებს დიდ დახმარებას უწევს აგრარული უნივერსიტეტის ფიზადზრდის კათედრა (გამგე დოდო ჟორჟოლიანი).

სფფ-ს რეგიონულ ფედერაციებში

ჭაბუკთა ფეხბურთის საკეთილდღეოდ

სამეგრელოს რეგიონის ფეხბურთის ფედერაციამ (სრფფ) ჩაატარა თათბირი სფფ-ს და სრფფ-ს ეგიდით ჭაბუკთა ყველა რანგის გათამაშებებში მონაწილე გუნდების მწვრთნელების, რეგიონის მსაჯთა და დელეგატთა კორპუსის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ინფორმაციით გამოვიდა სრფფ-ს ფეხბურთის განვითარებისა და საშეჯიბრო კომიტეტის უფროსი ჯემალ გოგია. ყურადღება გამახვილდა რეგიონის ბავშვთა ფეხბურთში ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე, მწვრთნელთა ლიცენზირებისა და სფფ-სა და სრფფ-ს დავალიანების დაფარვაზე, რომელიც გუნდებს აქვთ. ამასთან, მწვრთნელებს განემარტათ, რომ 23 თებერვალს საგანგებო კომიტეტის დადგენილებით პირველივე კალენდარულ თამაშზე თანხის გადაუხდელობისთვის ჩაეთვლებათ წაგება — 0-3. მომდევნო მატჩამდე გადაუხდელობისთვის კი მოიხსნებიან გათამაშებიდან.

სრფფ-სთან შეიქმნა ჭაბუკთა გუნდების მწვრთნელთა საბჭო, რომელსაც ს.კ „ლაზიკას" მწვრთნელი, ვეტერანი ფეხბურთელი გერონტი ნაჭყბია ჩაუდგა სათავეში.

ბელა ნაჭყებია,
„ლელოს" კორ. სამეგრელოს რეგიონში.

მურთაზ ხურცილავას თვრამეტი რჩეული

(პირველი გვერდიდან)

(კოლხეთი 1913), ალექსანდრე ჩიგაძე (დინამო თბ), ზურაბ ხიზანიშვილი (დანდი), ლაშა სალუქვაძე (ლოკომოტივი); ნახევარმცველები — ვლადიმერ კაკაშვილი (ლოკომოტივი, მოსკოვი), მალხაზ ასათიანი (ტორპედო), გივი კვარაცხელია (ლოკომოტივი), გიორგი მანწკავა (დინამო თბ). ლადო ბურდული (დინამო თბ), ზურაბ ძამსაშვილი (იბერია); თავდამსხმელები — გიორგი შენგელია (ლოკომოტივი), ლევან შელქაძე (ვიტ ჯორჯია), გრიგოლ იმედაძე (ტორპედო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ეს რა ნყვილი შექმნეს

იმას, რომ დღეისათვის ბელგიის ჩემპიონატში ბრიუსელის „ანდერლეხტს“, ფაქტობრივად, სერიოზული მეტოქე არა ჰყავს, მომხმარებლებმა შედარებით ახლად შექმნილ თავდამსხმელთა დუეტს მიაწერენ. თუ ჩეხეთის ნაკრების წევრი კოლერი კარგა ხანია და, რა თქმა უნდა, წარმატებით გამოდის ბელგიის ჩემპიონატში, კანადის პასპორტით პოლონელი რაძინსკი ახალი ფიგურაა ევროპულ ფეხბურთში. ახლა მას გოლი გოლზე გააქვს. საკმარისია აღინიშნოს, რომ რაძინსკიმ ქვეყნის პირველობაზე უკვე 19 გოლი გაიტანა, კოლერმა კი ერთით ნაკლები.

თოვლმა და ქარბუქმა ხელი შეუშალა

მეტად იშვიათი რამ მოხდა ჩეხეთის ჩემპიონატში. ძლიერი თოვლისა და ქარბუქის გამო მთელი ტურის მატჩები გაურკვეველი ვადით გადაიდო. ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის კავშირმა სპეციალური ცნობაც კი გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ სტადიონები ერთი მეტრის სიმაღლის თოვლით დაიფარა, ტრანსპორტი არ მუშაობდა და ფეხბურთელებს სხვა ქალაქებში ჩასვლა არ შეეძლოთ. ჩეხეთის ჩემპიონატის დამთავრება 27 მაისისთვის იყო დაგეგმილი, ახლა კი იგი უფრო გვიანდელი დროისათვის გადაიდება.

ბიხონოვი – „საუთჰემპტონში“?

სამარის „კრილია სოვეტოვში“ მოსკოვის „სპარტაკიდან“ გადასული ცნობილი ნახევარმცველი ანდრეი ტიხონოვი გაემგზავრა ინგლისში „საუთჰემპტონის“ შემადგენლობაში გასასინჯად. ამ კლუბს, რომელსაც გულშემატკივრები „წმინდანებს“ უწოდებენ, სათავეში უდგას ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი გლენ ჰოდლი. უახლოეს დღეებში უნდა გადაწყდეს კლუბში რუსი ფეხბურთელის ჩარიცხვის საკითხი.

„ნაპოლიმ“ იცის ედმუნდოს „ნამალი“

„მხეცად“ წოდებული ბრაზილიელი ედმუნდო „ნაპოლიში“ გადასვლის შემდეგ „მხეცადვე“ დარჩა. როცა მწვრთნელმა ემილიანო მონდონიკომ „ინტერთან“ უხეირო თამაშის გამო შეცვალა, ედმონდო მინდვრიდანვე მწვრთნელს მიეჯრა და კარგად აგინა. ასე არ უნდაო და „ნაპოლიმ“ ბრაზილიელი 150 ათასი დოლარით (!) დააჯარიმა. ამან ედმუნდო „გამოასწორა“ და ორ მომდევნო თამაშში გოლები გაიტანა.

„ცივილიზებული პროტესტი“

მილანის „ინტერს“ ყოველთვის უამრავი გულშემატკივარი ჰყავდა, რომელთა დიდი ნაწილი ახლა უიმედოდ გადაიკიდა. იყო შემთხვევები, როცა ტიფოზები ცდილობდნენ კლუბის დირექტორატის დარბევას, ზოგჯერ ფეხბურთელებსაც დაუშენდნენ ხოლმე სკამებსა და ბოთლებს. მარკო ტარდელიმ ძლივს მოასწრო მინდვრიდან გასახდელში შეღწევა.

„უდინეზესთან“ მატჩზე გულშემატკივრები მივიდნენ ტრანსპარანტებით: „სირცხვილს საზღვარი არა აქვს!“ „ჩვენ არასოდეს გვითამაშია „სერია B“-ში. ამას ტარდელიმ პროტესტის ცივილიზებული ფორმა უწოდა.

„ჩელსის“ შაპი ღლეები

ასეთ შავ დღეში ლონდონის „ჩელსი“ კარგა ხანია არა ყოფილა. მას სუსტი შედეგები აქვს ინგლისის ჩემპიონატში, დამარცხდა ქვეყნის თასის 1/8 ფინალში ლონდონის „არსენალთან“, კარგა ხანია მარცხი განიცადა ინგლისის ლიგის თასზე და უეფას თასზეც.

„ჩელსის“ ამბიციურმა მფლობელმა კენ ბეიტსმა საყვედური გამოუცხადა კლუბის იტალიელ მწვრთნელ კლაუდიო რანიერის.

ეს რა უცნაური რიცხვებია

ის, ვინც მოსკოვის „სპარტაკის“ საწვრთნელ ბაზას ეწვევა დაბა ტარასოვკაში, შეიძლება ყურადღება მიაქციოს გამოკრულ უცნაურ რიცხვებს: მარკაო — 33,92, ტიტოვი — 30,96.

როცა მთავარ მწვრთნელ ოლეგ რომანცევს ჰკითხეს, აეხსნა რას ნიშნავდა ეს რიცხვები, მან ორჯერ იხუმრა, ეს ის მილიონებია, რამდენადაც ფეხბურთელები ღირანო, შემდეგ კი თქვა, რომ ლაპარაკია მოთამაშეების ჯარიმებზე.

„კოსტრომანი დიდია“

ასე უწოდა „ლაციოს“ მწვრთნელმა დინო ძოფმა სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელ ლუკას კოსტრომანს, რომელიც კლუბმა იანვარში 24 მილიარდ ლირად (11,6 მილიონი დოლარი) „ველეს სარსფილდისაგან“ შეიძინა. არგენტინელი ნახევარმცველი მშვენივრად უწევს კონტროლს მარჯვენა ფრთას, ხშირად გადის წინ და უტევს მეტოქის კარს.

ძოფი აღტაცებულია კოსტრომანით და მისგან დიდ შედეგებს ელის.

და „მაინც ბრუნავს“?

მარკო ტარდელი, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ დიდი წარმატებით ხელმძღვანელობდა იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებს, ახლაც იმედით არის განწყობილი „ინტერში“, თუმცა გუნდს კარგი არაფერი ეტყობა. — ვიცი, რას წარმოადგენენ ჩემი მოთამაშეები, როგორ ვარჯიშობენ. უნდა გავერკვეთ, რაშია საქმე, რატომ არ თამაშობენ ისინი ისე, როგორც ეკადრებათ. მათ არ ვამტყუნებ, პირიქით, შევეცდები ყველგან დავიცვა.

William HILL

ინგლისი. პრემიერლიგა					
ასტონ-ვილა — იფსვიჩი	10.03	19.00	2,20	3,10	2,87
ინგლისი. ასოციაციის თასი					
ლესტერი — უიკომბი	10.03	19.00	1,25	4,50	11,0
არსენალი — ბლეკბერნი	10.03	19.00	1,33	4,00	8,50
ვესტჰემი — ტოტენჰემი	11.03	20.00	2,00	3,10	3,40
ინგლისი. I დივიზიონი					
ბარნსლი — ჰადერსფილდი	10.03	19.00	1,80	3,30	3,75
ბირმინგემი — ქრიუ	10.03	19.00	1,40	3,60	7,50
ფულჰემი — ქარ	10.03	19.00	1,28	4,50	8,00
გრიმსბი — ვულვზი	10.03	19.00	2,37	3,10	2,62
პორტსმუთი — სტოკპორტი	10.03	19.00	1,80	3,30	3,75
შეფილდ იუნ. — ნოტ. ფორ.	10.03	19.00	1,80	3,30	3,75
უოტფორდი — ნორვიჩი	10.03	19.00	1,80	3,30	3,75
ვესტ ბრომვიჩი — შეფ. უენსდ.	10.03	19.00	1,57	3,50	5,00
უიმბლდონი — კრ. პალასი	10.03	19.00	2,20	3,10	2,87
ბოლტონი — ჯილინგემი	10.03	19.00	1,44	3,60	6,50
შოტლანდია. ასოციაციის თასი					
კილმარნოკი — ჰიბერნიანი	10.03	19.00	2,62	3,30	2,25
ლივინგსტონი — პეტერჰედი	10.03	19.00	1,20	5.00	11,00
სელტიკი — ჰართსი	11.03	18.35	1,25	4,50	10.00
დანდი — რეინჯერსი	11.03	22,05	6,50	3,60	1,44
იტალია. სერია A					
ვიჩენცა — ნაპოლი	10.03	18.00	2,00	3,00	3,40
ატალანტა — მილანი	10.03	23.30	2,30	2,80	3,00
ბოლონია — ლაციო	11.03	18.00	3,60	2,87	2,00
ინტერი — ვერონა	11.03	18.00	1,33	3,75	9.00
შვეიცარია. ნაციონალლიგა					
ლოზანა — სიონი	10.03	20.30	1,70	3,20	4,20
სერვეტი — სტ. გალენი	10.03	22.30	2,20	3,10	2,75
ლუგანო — ციურიხი	11.03	17.30	1,80	3,10	3,80
გრასჰოპერსი — ბაზელი	11.03	19.15	1,60	3,30	4,70
გერმანია. ბუნდესლიგა					
ბაიერი — ვერდერი	09.03	23.15	1,72	3,40	4,00
ბაიერნი — კოტბუსი	10.03	18.30	1,22	5,00	9,50
ბოხუმი — კიოლნი	10.03	18.30	2,37	3,30	2,50
ფრაიბურგი — დორტმუნდი	10.03	18.30	2,60	3,10	2,37
ჰერტა — ჰანზა	10.03	18.30	1,61	3,50	4,50
ვოლფსბურგი — უნტერჰახინგი	10.03	18.30	1,61	3,50	4,50
აინტრახტი — შალკე	10.03	23.15	2,50	3,10	2,50
ჰამბურგი — შტუტგარტი	11.03	20.30	1,66	3.30	4,50
გერმანია. II ბუნდესლიგა					
დუისბურგი — მანჰეიმი	09.03	22.00	1,85	3,15	3,55
ოსნაბრიუკი — ობერჰაუზენი	09.03	22.00	2,10	3,10	2,95
ბელეფილდი — ალენი	10.03	18.00	2,10	2,90	3,15
საარბრიუკენი — მაინცი	10.03	18.00	1,70	3,20	4,20
ჰემნიცი — აახენი	11.03	18.00	2,60	3,20	2,25
გრუიტი — სტ. პაული	11.03	18.00	2,00	3,00	3,25
ჰანოვერი — ულმი	11.03	18.00	1,70	3,20	4,20
შტუტგარტი — რუიტლინგენი	11.03	18.00	2,40	3,00	2,55
მაინჰენგლადბახი — ნიურენბერგი	12,03	23.15	1,85	3,15	3,55
ბელგია. I დივიზიონი					
ვესტერლო — სტანდარდი	09.03	23.00	2,25	3,40	2,50
ანდერლეხტი — გენკი	10.03	23.00	1,20	5.00	9.50
ბევერენი — ლოკერენი	10.03	23.00	2,10	3,50	2,65
შარლერუა — მუსკრონი	10.03	23.00	1,90	3,40	3,15
მეხელენი — ბრიუგე	10.03	23.00	4,75	3,80	1,50
ანტვერპენი — გენტი	11.03	17.00	2,50	3,40	2,25
აალსტი — ბეერსხოტი	11.03	18.00	2,55	3.30	2,25
ჰარელბეკე — ლიერსი	11.03	18.00	2,25	3,40	2,50
სენტ ტრუიდენი — ლუვერსი	11.03	18.00	1,75	3,50	3,55
ავსტრია. უმაღლესი ლიგა					
რაპიდი — ადმირა	09.03	22.30	1,25	4,50	8,50
ბრეგენცი — აუსტრია	10.03	18.30	3,00	3,25	2,00
რიდი — ზალცბურგი	10.03	18.30	1,95	3,20	3,20
ტიროლი — ლინცი	10.03	18.30	1,20	5,00	9,50
გრაცერი — შტურმი	10.03	18.30	2,40	3,20	2,45
დანია. სუპერლიგა					
ბრონდბიუ — ოდენსე	11.03	18.00	1,60	3,30	4,70
ჰადერსლევი — ლუნგბიუ	11.03	18.00	4,20	3,40	1,65
სილკებორგი — მიუტლანდი	11.03	18.00	1,85	3,40	3,30
ვიბორგი — ჰერფოლგი	11.03	18.00	1,65	3,40	4,20
კოპენჰაგენი — ოლბორგი	11.03	20.05	1,75	3,40	3,65
აკადემისკი — ორჰუსი	12.03	22.00	1,95	3,30	3,10
ჰოლანდია. უმაღლესი ლიგა					
გრააფსხაპი — ჰერენვენი	09.03	23.00	2,40	3,40	2,35
როდა — ბრედა	09.03	23.00	1,60	3,50	4,40
სიტარდი — როზენდალი	10.03	22.30	1,90	3,40	3,15
ტვენტე — ნაიმეგენი	10.03	22.30	1,70	3,50	3,80
ალკმაარი — ვაალვაიკი	10.03	23.00	2,30	3,30	2,50
უტრეხტი — ვიტესი	11.03	17.30	2,05	3,40	2,80
ტილბურგი — ფეიენორდი	11.03	17.30	2,87	3,30	2,10
გრონინგენი— აიაქსი	11.03	20.15	3,55	3,50	1,75
პორტუგალია. უმაღლესი ლიგა					
ვერეირა — ბოავიშტა	09.03	01.00	2,80	2,90	2,30
ბელენენსეში — ბენფიკა	10.03	00.30	3,00	3,20	2,10
ალვერკა — სალგეირუში	11.03	20.00	1,85	3,20	3,50
კამპომაიორენსე — ამადორა	11.03	20.00	1,85	3,20	3,50
ფარენსე — ბეირა მარი	11.03	20.00	1,95	3,10	3,30
ეილ ვისენტე — ბრაგა	11.03	20.00	2,70	3,10	2,25
მარიტიმუ — ლეირია	11.03	20.00	1,80	3,20	3,70
სპორტინგი — ავეში	11.03	22.30	1,14	5,25	14,0

მაგთი GSM



ფილარმონია.
26 მარტი. 20 სთ

წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს

„ვარსკვლავები“

ღონისძიების ორგანიზატორები: შ.პ.ს. „ვერიტა“, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა: რადიო „ფორტუნა“ და „ფორტუნა პლუსი“, გაზეთები „ლელო“, „ალია“, „სარბიელი“.

გენერალური სპონსორია მაგთი GSM

თქვენ გელით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიტასთან.



ანკეტა იხ. უკანა მხარეს (მე-6 გვ.)

მარადონა გადაისდის ჯარიმას

ბუენოს-აირესის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მარადონამ 15 ათასი დოლარი უნდა გადაუხადოს ერთ ჟურნალისტს ხუთთაგან, რომელთაც იგი თავს დაესხა.

როგორც გახსოვთ, 1994 წელს მარადონამ გაზის იარაღით ხელსა და ფერდში დაჭრა ჟურნალისტი, რომელმაც კითხვებით „სული შეუწუხა“ მას. ახლა კი ამის გამო ჯარიმის გადახდა მოუხდება.

ორი კვირის ვადა მისცეს

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ კლუბებს ორი კვირის ვადა მისცა ყველა საზღვარგარეთელი მოთამაშის პასპორტების შესამოწმებლად. კლუბებმა ამ საკითხში შინაგან საქმეთა და სპორტის სამინისტროებთან უნდა ითანამშრომლონ.

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ადამ კროზიერმა კლუბებს აცნობა, რომ ზოგიერთი უცხოელი ფეხბურთელის ევროკავშირის მოქალაქეობა ძალზე საეჭვოა. გამოქვეყნდა იმ მოთამაშეების სია, რომლებიც ინგლისში გამოდიან, მაგრამ ორმაგი მოქალაქეობა აქვთ.

ამიტომ მოხსნეს მთავარი მწვრთნელი

ერაყის პრეზიდენტ სადამ ჰუსეინის ვაჟმა უდაიმ ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაანთავისუფლა იუგოსლავიელი მილან ივადინოვიჩი, რომელიც უნებართვოდ რამდენიმე ხანს სამშობლოში გაემგზავრა.

„ეს ჩემი კერძო აზრია“

არგენტინის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდი 1986 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა, „ტელამის“ სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა ის უარყოფითი როლი, რომელსაც ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში მარადონა ასრულებს. მისი აზრით, მარადონა გაუაზრებელი მოქმედებით დიდ ზიანს აყენებს არგენტინულ ფეხბურთს! ბილარდომ ხაზი გაუსვა იმას, რომ მხოლოდ თავის კერძო აზრს გამოთქვამს და ამასთან, უკვირს არგენტინის ფეხბურთის ფედერაციისა, რომელიც არავითარ ღონისძიებებს არ მიმართავს.

რასაც ვხედავ, ამას მთელი მსოფლიოც ადევნებს თვალს. გფიქრობ აფფ-მ (არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია) უნდა აზრი გამოთქვას იმის შესახებ, რომ ბევრი რამ, რასაც მარადონა სჩადის, „ცუდი და უსამართლოა არგენტინული ფეხბურთისთვის“.

— როცა ჩვენმა ნაკრებმა მნიშვნელოვანწილად დიეგოს ჩინებული თამაშის წყალობით მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმარჯვა, იგი გამოდიოდა მინდორზე და ყველაფერს აკეთებდა. მას თავისი თამაშისთვის რაიმე განსაკუთრებული საფასური არ მოუთხოვია და ეს არც არავის გაჰკვირვებია. აი, შემდგომ წლებში, იგი გარყვნეს ფანტასტიკური პრემიებით, თუმცა დიეგოს კვლავ არც არაფერი უთხოვია. ერთადერთი, რაც უნდოდა, ეს იყო მაყურებლებით სავსე ტრიბუნების წინ თამაში და მათი აღტაცებაში მოყვანა. ამ პრემიებით დაიწყო მარადონას არაერთი უსიამოვნება. ყოველკვირეულ „როლინგ სტოუნის“ კორესპონდენტთან საუბარში ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ვერაფრით სძლევს ნარკოტიკებს, რამაც მრავალი უსიამოვნება მოუტანა.

— ეს იმიტომ ხდება, რომ ვერ მოგუარეთ მთელი არგენტინის საამაყო ფეხბურთელს.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ანკეტა

საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, მსაჯის, გუნდის, გოლის გამოსავლენად ფეხბურთის გულშემატკივართა, სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელევიზიის და ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:

1. საუკეთესო ფეხბურთელი _____
2. საუკეთესო მეკარე _____
3. საუკეთესო მცველი _____
4. საუკეთესო ნახევარმცველი _____
5. საუკეთესო თავდამსხმელი _____
6. საუკეთესო მწვრთნელი _____
7. საუკეთესო მსაჯი _____
8. საუკეთესო გუნდი _____
9. უმნიშვნელოვანესი (საუკეთესო) გოლი _____

გამოკითხვაში მონაწილეობის მსურველებს შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოგზავნოთ გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების რეალიზატორებთან. შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 99-96-43; 99-56-14 ან მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:

WWW. gff. ge – ვებ გვერდი. **gff access. sanet.ge - E-mail**

ფიფამ წილისყრა ჩაატარა

როგორც ცნობილია, 28 ივლისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით ესპანეთში გაიმართება მეორე საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატი. ფიფას წილისყრით გუნდები ჯგუფებში ასე განლაგდნენ:

A ჯგუფი (ლა კორუნია)
ბოკა ხუნიორსი (არგენტინა), დეპორტივო (ესპანეთი), ვოლოგონგ ვულვზი (ავსტრალია), ზამალეკი (ეგვიპტე).

B ჯგუფი (მადრიდი)
პალმეირასი (ბრაზილია), ოლიმპია (გონდურასი), გალათასარაი (თურქეთი), ალ-ჰილალი (საუდის არაბეთი).

C ჯგუფი (მადრიდი)
რეალი (მადრიდი), ჯუბილო ივატა (იაპონია), ჰარტს ოფ ოუკი (განა), ანჯელეს გელაქსი (აშშ).

ნახევარფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებენ ჯგუფებში გამარჯვებულები, აგრეთვე ერთი საუკეთესო შედეგის მქონე მეორე ადგილზე გასული გუნდი. ნახევარფინალური შეხვედრები — 9 აგვისტოს, ხოლო ფინალი 12 აგვისტოს გაიმართება.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

„რეალი“ კვლავ პირველია

ტელეარხი CNN და ჟურნალ „Soccer“-ი სისტემატურად აქვეყნებენ მსოფლიოს რჩეული კლუბების რეიტინგს. ბოლო ვერსიით, პირველობას კვლავ ინარჩუნებს ესპანეთის სამეფო კლუბი.

1. „რეალი“ (ესპანეთი) — 98,2 ქულა
2. „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — 92,3
3. „რომა“ (იტალია) — 76,4
4. „ბოკა ხუნიორსი“ (არგენტინა) — 51,5
5. „დეპორტივო“ (ესპანეთი) — 42,6.

რატომ წავიდა პასარელა?

მსოფლიო პირველობის სამხრეთამერიკული შესარჩევი ჯგუფის თამაშების განახლებამდე ცოტა დრო რომ რჩება, ბევრისათვის მოულოდნელი იყო ურუგვაის ნაკრების მწვრთნელის, არგენტინელ სპეციალისტ დანიელ პასარელას გადადგომა, მით უმეტეს, რომ ამ გუნდს ფინალში გასვლის კარგი შესაძლებლობა აქვს.

თურმე რაში ყოფილა საქმე: მან ევროპაში გამგზავრების წინ შეკრებაზე გამოიძახა მონტევიდეოს „ნასიონალის“ მოთამაშე ვისენტე სანჩესი, ფეხბურთელმა კი ჩილეში გამგზავრება ამჯობინა, სადაც თავის კლუბში კოპა ლიბერტადორესის მატჩში ითამაშა. ამას პასარელასა და „ნასიონალის“ ხელმძღვანელობის შეტაკება მოჰყვა, პასარელამ კი ნაკრებთან გამოთხოვება ამჯობინა და წერილიც დაწერა, სადაც განმარტა: „მინდა ბოდიში მოვუხადო ურუგვაელ გულშემატკივრებს, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება იძულებითი იყო“. პასარელა მისმა ასისტენტმა ვიქტორ პუამ შეცვალა.

მაგათ აჩვენებენ „ანაბოლიკურ სტეროიდებს“!

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ საქმის შესწავლის შემდეგ 16-თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა „პერუჯას“ ორ ფეხბურთელს: თავდამსხმელ კრისტიან ბუკს და მცველ სალვატორე მონაკოს. ისინი დოპინგის გამოყენების გამო დაისაჯნენ, ისევე, როგორც მეორე დივიზიონის კლუბ „პესკარას“ ორი მოთამაშე ანდრეა და როლდი. მათ ანალიზებში „ანაბოლიკური სტეროიდების“ კვალი აღმოჩნდა.

ლილიან ბიურამი დაგოვებს „პარმას“

„პარმას“ უძლიერესმა მცველმა, საფრანგეთის ნაკრების წევრმა ლილიან ტიურამმა განაცხადა, რომ ფიქრობს დატოვოს ეს კლუბი, თუმცა კონტრაქტი 2005 წლამდე აქვს. ფრანგულ გაზეთ „ლე პარიზიენის“ კორესპონდენტთან საუბარში მან თქვა, რომ „პარმას“ შემადგენლობაში ჩემპიონი ვერ გახდება, ეს კი ძალიან უნდოდა. „უკვე 29 წლის ვარ, ეს კი დაფიქრების საშუალებას მაძლევს“. ფიქრობენ, რომ იგი „მილანსა“ ან „რომაში“ გადავა

უნესრიგობა გრძელდება

იტალიის ჩემპიონატის მთელ რიგ მატჩებში წესრიგის დამცველებს ძალიან უჭირთ ხულიგანი მაყურებლების შეკავება. „ატლანტა“ — „ვიჩენცას“ მატჩში სტუმრების ქომაგებმა მინდორზე თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ისროლეს. პოლიციელმა გადაწყვიტა მისი უსაფრთხო ადგილას გადატანა, მაგრამ ყუმბარა სწორედ ხელებში აუფეთქდა. იგი საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც მარჯვენა ხელზე თითის ამპუტაცია დასჭირდა. დაიჭრა სხვა სამი პოლიციელიც.

„ფიორენტინა“ ეარსკვლავებს გაყიდის

აკი ვიწინასწარმეტყველეთ, რომ ფლორენციულ კლუბში კრიზისი იწყება. პირველი, ვინც „დენთის სუნი“ იყნოსა, თურქი მწვრთნელი ფატიხ თერიმი იყო, თებერვლის ბოლოს მან დატოვა კიდევაც „ფიორენტინა“. ახლა თერიმის მაგალითს, ალბათ, ის ფეხბურთელები მიბაძავენ, ვისი კონტრაქტის ვადა ახლო მომავალში იწურება და თავისუფალი აგენტის სტატუსს შეიძენენ — მათ უფლება აქვთ თავად გადაწყვიტონ თავისი ბედი. საქმე იქითკენ მიდის, რომ პირველი ასეთი მოთამაშე პორტუგალიელი ნახევარმცველი რუი კოშტა იქნება. ამბობენ, მას უკვე „ეუგანი შეაბა“ „მილანმა“. კოშტას ადგილს, ალბათ, დაიკავებს კრისტიანო დონი „ატალანტიდან“ ან ვუგრინერი — „ლეჩედან“.

იტყობინებიან, რომ ფლორენციულ კლუბში აღარ აპირებს დარჩენას აგრეთვე პორტუგალიელი ნუნუ გომეში, იგი ლისაბონის „სპორტინგში“ გადადის.

სამუდამოდ – „მანჩესტერ იუნაიტედში“

ცნობილმა ჰოლანდიელმა მცველმა იაპ სტამმა ახალ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „მანჩესტერ იუნაიტედთან“. 28 წლის სტამმა უკვე ითამაშა ამ კლუბში 100-ზე მეტი მატჩი, ორჯერ გაიმარჯვა ინგლისის ჩემპიონატში, ერთხელ — ინგლისის თასზე, მოიგო ჩემპიონთა ლიგაც.

— ბედნიერი ვარ, რომ კვლავ დავიცავ ამ სახელოვანი კლუბის ღირსებას. იმედი მაქვს, აქვე დავამთავრებ ჩემს საფეხბურთო კარიერას.

აი, რა განაცხადა კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა — მოხარული ვარ, რომ სტამი დაგვთანხმდა ხელი მოეწერა ახალი კონტრაქტისათვის. მას შემდეგ, რაც იგი ორწელიწადნახევრის წინათ ჩვენთან გადმოვიდა, შეადუღაბა კიდეც დაცვის ხაზი, და არაერთგზის დაამტკიცა რომ შეუცვლელია.

სტამის ადრინდელი კონტრაქტი მხოლოდ სამი წლის შემდეგ მთავრდებოდა. მიმომხილველები ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მოქნილ პოლიტიკას ანხორციელებს — გრძელვადიან ხელშეკრულებებს დებს იმ ფეხბურთელებთან, რომლებიც ძალიან სჭირდება, რათა კიდევ უფრო განამტკიცოს კოლექტივი. ეს ყველაფერი უდავოდ სწორია, მაგრამ როგორც ბევრი მოთამაშე თვლის, გაისად, როცა ალექს ფერგიუსონი კლუბს გამოეთხოვება (მას გადაწყვეტილი აქვს თავისი სამწვრთნელო კარიერის დამთავრება), შეიძლება ყველაფერი აირ-დაირიოს და დაიწყოს „მანჩესტერ იუნაიტედის“ დაშლის პროცესი.

„კიკერი“: 2000-2001 წლების სეზონის ყველაზე ძვირადღირებული ოცეული

გერმანულმა ჟურნალმა „კიკერმა“ გამოაქვეყნა 2000-2001 წლების სეზონის ყველაზე ძვირადღირებული 20 ფეხბურთელის თამაშის საინტერესო ანალიზი.

1. ფიგუ (პორტუგალია) 118 მილიონ მარკად გადავიდა „ბარსელონადან“ მადრიდის „რეალში“. პირველ ხანებში იგი ნაკლებად უგებდა მინდორზე პარტნიორებს, არა ჰქონდა, რაც სრულიად ბუნებრივია, სათანადო შეთამაშება. მაგრამ სრულიად ცხადია ისიც, რომ ეს პროცესი სწრაფად გაიარა, პირდაპირ სარეკორდო დროში გახდა გუნდის ნამდვილი ლიდერი და ბევრი გოლიც გააქვს.

2. კრესპო (არგენტინა). „პარმადან“ 110 მილიონ მარკად გადავიდა რომის „ლაციოში“. თავდაპირველად ძალიან გაუჭირდა, უფერულად თამაშობდა, მაგრამ საკმაოდ მალე აუღო ალღო სიტუაციას და ახლა გოლი გოლზე გააქვს — შევჩენკოსა და ბატისტუტას იტალიის ჩემპიონატის პირველი სნაიპერის წოდებისთვის დავაში ახალი კონკურენტი გამოუჩნდა.

3. ოვერმარსი (ჰოლანდია) — „არსენალიდან“ „ბარსელონაში“ 72 მილიონად. ჰოლანდიის ნაკრების გარემარბმა, რომელიც ღიდი სისწრაფითაა ცნობილი, რა თქმა უნდა, დაიკავა ადგილი ახალი გუნდის ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ მოსალოდნელ მაღალ შედეგებს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ვერ აღწევს.

4. ბატისტუტა (არგენტინა) — „ფიორენტინადან“ „რომაში“ 70 მილიონად. მიუხედავად იმისა, რომ მუხლი საბოლოოდ არ მოუშუშდა, ძალიან მალე შეეწყო ახალ პარტნიორებს, კვლავ ფრიად სახიფათო გოლეადორი და თავდასხმის ნამდვილი ლიდერია. გამოტოვა რამდენიმე მატჩი, მაგრამ, საცაა უნდა დაბრუნდეს.

5. ანელკა (საფრანგეთი) — მადრიდის „რეალიდან“ პსჟ-ში 65 მილიონ მარკად. ოთხი წლის წინათ პსჟ-მ სრულიად ახალგაზრდა ანელკა 2 მილიონ მარკად „არსენალს“ დაუთმო, სადაც მან სკადალებითა და უდისციპლინობით გამოიჩინა თავი. იგივე გაიკეთა შემდეგ „რეალშიც“. ახლა პარიზელებმა ამ თანხის გაღებით დაიბრუნეს, მაგრამ, მიმომხილველთა აზრით, ძალიან მოტყუვდნენ — პსჟ სატურნირო ცხრილის შუაგულშია და თვით ანელკაც არაფრით გამოირჩევა.

6. ჟარდელი (ბრაზილია) — „პორტუდან“ სტამბოლის „გალათასარაიში“ 58 მილიონად. დიდებული სნაიპერი. თურქეთშიც ისეთივე შედეგიანობით გამოირჩევა, როგორც პორტუგალიაში, თუმცა ამ ქვეყანაში ვერ სძლებს და ისევ პორტუგალიაში დაბრუნებას აპირებს.

7. კლაუდიო ლოპესი (არგენტინა) — „ვალენსიიდან“ „ლაციოში“ 54,5 მილიონად. ბედმა, რომ იტყვიან, ძალიან უმტყუნა. ოქტომბრის დასაწყისში ახალ კლუბში ძლიერ დაშავდა, კარგა ხანს მკურნალობდა და გუნდს მხოლოდ თებერვლის მიწურულში დაუბრუნდა. მართალია, მაშინვე დაამტკიცა, რომ გოლების გატანა არ დავიწყებია.

8. მილოშევიჩი (იუგოსლავია) — „სარაგოსადან“ „პარმაში“ 50 მილიონად. ესპანეთში შესანიშნავად თამაშობდა, ბევრი გოლიც გაჰქონდა. იტალიაში ვერაფერს ხდება, „პარმას“ ხელმძღვანელობა აშკარად უკმაყოფილოა.

9. ფლავიო კონსეიასაო (ბრაზილია) — ესპანური „ლა კორუნიადან“ ამავე ქვეყნის „რეალში“ 47 მილიონად. უიღბლო გამოდგა. 2000 წლის შემოდგომაზე მძიმე ოპერაცია გადაიტანა და დღემდე ახალ კლუბს ვერაფრით გამოადგა.

10. ჰასელბაინკი (ჰოლანდია) — მადრიდის „ატლეტიკოდან“ ლონდონის „ჩელსიში“ 46,7 მილიონად. ახალ ლიგაში აჩვენა ყოველივე ის საუკეთესო, რაც ესპანეთში ჰქონდა. — მაღალი შედეგიანობა და ბრძოლისუნარიანობა. თუმცა, ახლა მისი ახალი კლუბი არ ბრწყინავს.

11. ალმეიდა (არგენტინა) — „ლაციოდან“ „პარმაში“ 45 მილიონად. ეს ნიჭიერი ნახევარმცველი ვერც რომის კლუბში „გაიხსნა“, ახლა „პარმაშიც“ უღიმღამოდ თამაშობს, და, ეტყობა, ახალი სეზონიდან სულ სხვა კლუბში მოუხდება კარიერის გაგრძელება. არასაკმარისი პრაქტიკის გამო საეჭვო ხდება მისი გამოსვლა არგენტინის ნაკრებშიც.

12. ტრეზეგე (საფრანგეთი) — „მონაკოდან“ „იუვენტუსში“ 43 მილიონად. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს ტურინის სუპერკლუბში მკაცრი კონკურენცია დახვდა (ინძაგი, დელ პიერო, კოვაჩევიჩი), მაგრამ სულ უკეთ და უკეთ თამაშობდა, ახლა, ტრავმის შემდეგ დაბრუნდა ძირითად შემადგენლობაში და გოლებიც გააქვს.

13. ჰერარდი (ესპანეთი) — „ვალენსიიდან“ „ბარსელონაში“ 42,5 მილიონად. აშკარად არ გაუმართლა იმედები თავის ახალ კლუბს. საკმაოდ იშვიათად თამაშობს, უმეტეს შემთხვევაში, მეორე ტაიმიდან.

14. რობი კინი (ირლანდია) — „ქოვენთრიდან“ მილანის „ინტერში“ 40,5 მილიონად. ბევრს წერდნენ ამ ნიჭიერ თავდამსხმელზე, მაგრამ „ინტერში“ ისეა ყველაფერი არეულ-დარეული, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი დაიბნა და ვერ გამოავლინა თავისი ნამდვილი ძალა. ბოლოს მოინახა ასეთი გამოსავალი — კინი იჯარის უფლებით გამოდის ჩვეულ გარემოში — „ლიდს იუნაიტედში“.

15. ფარინოსი (ესპანეთი) — „ვალენსიიდან“ „ინტერში“ 38,5 მილიონად. მასზეც დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას, რაც კინზე. „ჩაიძირა“ მილანელთა კლუბის სრულ ქაოსში და ახლა, რომ იტყვიან, ათასში ერთხელ გამოდის შემცვლელად.

16. რედონდო (არგენტინა) — მადრიდის „რეალიდან“ „მილანში“ 35,5 მილიონად. მსოფლიო კლასის ეს ნახევარმცველი უაღრესად უიღბლო აღმოჩნდა. ახალ კლუბში პირველივე ვარჯიშში (!) საშინლად დაშავდა. ვერც ერთი წუთი ვერ ითამაშა „მილანში“ და ისიც ნათელი არ არის, როდის გამოჯანმრთელდება.

17. ემერსონი (ბრაზილია) — ლევერკუზენის „ბაიერიდან“ „რომაში“ 35 მილიონად. ახალ კლუბში მძიმედ დაშავდა, ამას წინათ დაუბრუნდა მინდორს და დაამტკიცა თუ როგორ ბრწყინვალედ შეუძლია თამაში.

18. სამუელი (არგენტინა) — ბუენოს-აირესის „ბოკა ხუნიორსიდან“ „რომაში“ 34,5 მილიონად. ეს ბრწყინვალე სტოპერი შარშანდლამდე ნაკლებად იყო ცნობილი არგენტინის ფარგლებს გარეთ. ითვლება „რომას“ ძალიან კარგ შენაძენად. რომ იტყვიან, ერთი ხელის დაკვრით გახდა „სერია A“-ს უძლიერესი მცველი, ხელი შეუწყო სტაბილიზაციას „რომას“ რიგებში და მოაწესრიგა გუნდის უკანა ხაზი. მისი წყალობითაა, რომ ახლა „რომა“ პირველი ადგილის უმთავრეს პრეტენდენტად ითვლება.

19. რებროვი (უკრაინა) — კიევის „დინამოდან“ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურში“ 34 მილიონად. ვერა და ვერ შეეგუა ახალ გარემოს, თამაშობს აშკარად სუსტად, და, კომენტატორების აზრით, დატოვებს კლუბს.

20. პერუცი (იტალია) — მილანის „ინტერიდან“ „ლაციოში“ 33 მილიონად. თუმცა ტოლდო და ბუფონი აღარ აკარებენ იტალიის ნაკრებს, მაგრამ კვლავინდებურად თამაშობს მეტად ძლიერად, თანაბრად და საიმედოდ.

მოამზადა
გივი თორელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული პლანეტა

NBA: ნბა:



„მეფეებს“ ყველაფერი შეუძლიათ, ისიც კი „-28“ აქციონ „+11“-ად

ამერიკის საკალათბურთო ასოციაციის რეგულარულ ჩემპიონატში გამართულ გუშინდელ მატჩებში უთუოდ გამოსარჩევია „საკრამენტო კინგზის“ და „ფენიკს სანსის“ შეხვედრა. სტუმრად მოასპარეზე „მეფეებმა“, რომლებიც მეორე პერიოდში აგებდნენ 28-ქულიანი სხვაობით (32:60), შეუძლებელი შეძლეს და მატჩი 11 ქულით მოიგეს (100:89).

სხვა შედეგები: ბოსტონი — მილუოკი 94:101, ინდიანა — ნიუიორკი 75:79, ფილადელფია — ნიუჯერსი 102:94, ატლანტა — ჰიუსტონი 98:104, კლივლენდი — ვაშინგტონი 83:88, მაიამი — დალასი 86:93, ორლანდო — დეტროიტი 112:102, იუტა — სიეტლი 86:82, ლეიკერსი — ტორონტო 97:85.

ნახევარი საუკარო ჯორდანის ბოდასებისთვის

ატყდა და რა ატყდა! ასეთი აჟიოტაჟი ამერიკას დიდი ხანია არ უნახავს და ყველაფერში სახელგანთქმული ნბა-ს ვარსკვლავის მაიკლ ჯორდანის უზომო პოპულარობაა: აგერ, გამოუშვეს მისი სპორტული ფეხსაცმლის ასლი და მაღაზიებში უზარმაზარი რიგი დადგა. იტყობინებიან, რომ საკრამენტოში, ოკლენდში, ცინცინატსა და ტოლედოში, ვისაც ჯორდანის ბოტასები არ ერგო, დალეწა მაღაზიების ვიტრინები, გალახეს გამყიდველები.

ზამთრის სპორტის სახეობები

თხილამურები

ნორვეგიელთა ტრიუმფი

გუშინ ოსლოსთან ახლოს მდებარე ქალაქ ხოლმენკოლენის მიდამოებში დაიწყო მოთხილამურეთა ასპარეზობა მსოფლიოს თასზე. თავდაპირველად სპორტსმენები სპრინტერულ დისტანციაზე გამოვიდნენ. ვაჟთა შეჯიბრებაში პირველი შვიდი ადგილი ნორვეგიელებმა დაიკავეს. ესენი არიან: ტომას ოლსგორდი, ტორალფ ჰეიმდალი, იან-იაკობ ვერდენიუსი, ჰოვარდ ბერკელი, იენს-არნე სვარდეტალი, ესპენ ბერვიგი, ოდბიორნ ჰელმესეტი.

ქალთა შორის გაიმარჯვა ფინელმა პირიო მანინენმა. მეორე ადგილზე გავიდა ნორვეგიელი ბენტე სკარი-მარტინსენი, მესამეზე — შვედი ლინა ანდერსონი.

ბიატლონი

ბიატლონისტები ლეიკ-პლესიდში შეიყარნენ

ამერიკის ქალაქ ლეკი-პლესიდის მიდამოებში გრძელდება ბიატლონისტთა ასპარეზობა მსოფლიოს თასზე. გუშინ ურთიერთობა გაარკვიეს ქალებმა. 7,5-კილომეტრიან დისტანციაზე პირველობა არავის დაუთმო გერმანელმა კატი ვილხემმა — 26.17,8 (0 აცილება). მეორე შედეგი აჩვენა მისმა თანაგუნდელმა მარტინა ცელნერმა — ჩამორჩენა 9,2 (1), მესამე — ფრანგმა დელფინ ჰეიმან-ბურლემ — 15,2 (0).

დოპინგი

სპორტის მინისტრმა ფედერაციას შეუტია

ფინეთის სპორტის მინისტრმა სუვი ლინდენმა მოუწოდა გადადგეს ქვეყნის სათხილამურო ფედერაციის ხელმძღვანელობა: „სანამ მოთხილამურეებს სათავეში ეყოლებათ ფედერაციის პრეზიდენტი პაავო პეტაია და გენერალური მდივანი კლინგა, სახელმწიფო ამ ორგანიზაციას არ დააფინანსებს.“

მინისტრის ესოდენ კატეგორიული განცხადება გასაგებია: ამას წინათ ლახტში გამართულ მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ხუთ ფინელ სპორტსმენს მისცეს დისკვალიფიკაცია აკრძალული პრეპარატების გამოყენებისათვის.

ველორბოლა

ფინიშზე დაშავდა

„Tour a murcia“ — ასეთი სახელწოდებით ტარდება პოპულარული ველორბოლა, რომლის პირველი ეტაპი გუშინ დასრულდა. ფინიშზე სპორტსმენები ჯგუფად მიიჭრნენ. რამდენიმე ველოსიპედისტი ერთმანეთს შეეტაკა. ამის გამო სერიოზულად დაშავდა დანიელი ტაიებ ბრაიკია, რომელსაც სახე და მუხლი დაუზიანდა. იგი სასწრაფოდ მოათავსეს უახლოეს ჰოსპიტალში.

რაც შეეხება ეტაპის შედეგებს, გაიმარჯვა ნაკლებადცნობილმა ავსტრიელმა სპორტსმენმა ვერნერ რიბენბაუერმა — 3:28.08. მეორე ადგილზე გავიდა არგენტინელი მარტინ გარიდო, მესამეზე — ამერიკელი ანტონიო კრუსი.

ფორმულა-1

შუმახერი თურმე ძრავასთან საუბრობს

მიხაელ შუმახერმა, ერთ-ერთ ინტერვიუში, გააოგნა მკითხველი, თურმე ის ხანდახან ესაუბრება... ძრავას.

„მე ის მეცოდება, განსაკუთრებით, როცა ასე უმოწყალოდ აწამებენ მექანიკოსები სტარტის წინ, — თქვა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, — ძრავიდან ისეთი ხმები გამოდის, პირდაპირ ვგრძნობ როგორ ტკივილს განიცდის. ამიტომ, როცა რბოლა იწყება, მე მას ვეუბნები, „მორჩა, ძვირფასო, წავედით, შენ უკვე შეგეშვან“.

მიხაელ შუმახერი

და კიდევ, შუმახერი ამბობს, რომ ორი დღის წინ დიდი შიში ჰამა, როცა ტაქსის მძღოლი, რომლის კლიენტიც თავად იყო, სხვა მანქანის მძღოლს წაეჩხუბა. „მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ავსტრალიელები წყნარი ხალხია, მათ კი ასეთი ჩხუბი ატეხეს“, — თქვა მიხაელმა.

სხვათა შორის, შუმახერი კუბოს კარამდე ტაქსისტის მადლობელი უნდა იყოს. 1991 წელს, როცა „ჯორდანის“ პილოტი ტაქსის მძღოლთან ჩხუბისთვის ციხეში მოხვდა, სწორედ მაშინ. იგი, სრულიად უცნობმა, მიხაელ შუმახერმა შეცვალა.

კრივი

ჩინელებს მაინც ჰოლიფილდი ურჩევნიათ

გასულ კვირას ჯონი რუისთან ევანდერ ჰოლიფილდის „დაუგეგმავმა“ მარცხმა მძიმეწონოსანთა ისედაც არეულობაში მეტი გაურკვევლობა შეიტანა. საქმე ისაა, რომ ორი თვის წინათ, ჰოლიფილდის ცნობილმა პრომოუტერმა დონ კინგმა ჩინეთის კომპანია „China Great Wabl Sports Communication Ltd“-თან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც პეკინში უნდა გაიმართოს ბრძოლა WBA-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის და ერთ-ერთი პრეტენდენტი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ევანდერი. ახლა, ჰოლიფილდის მარცხის შემდეგ, ჩინელებს ლოგიკური უარი უნდა ეთქვათ ამ მოკრივეზე და მის ნაცვლად ჯონი რუისთან დაეჭირათ საქმე. მაგრამ აზიელები, თურმე გაჯიუტებულან — მაინცდამაინც ჰოლიფილდის ხილვა გვსურსო. ამ დღეებში დონ კინგი ჩავა პეკინში და მაშინ გადაწყდება ვინ გამოვა ამ ქალაქში, იქნებ რუისისა და ჰოლიფილდის მატჩ-რევანში გაიმართოს?

„იაგუარის“ გუნდმა ინტენსიური მზადება დაიწყო მალაიზიის „გრან-პრის“ მეორე ეტაპისთვის. სილვერსტოუნში ბოლდებს ტესტირება ჩაუტარეს პედრო დე ლა როზამ და ტომას შეკტერმა. ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო საბურავების გამოცდაზე.

პედრო დე ლა როზა

ცხენოსნობა

მხედარიც დასაჯეს, მეჯინიბეც...

ავსტრალიელი მხედარი ლი ფრიდმანი დაჯარიმებულია 6120 დოლარით იმისათვის, რომ მისი ცხენის სისხლმა დოპინგ-კონტროლზე გასინჯვისას დადებითი შედეგი აჩვენა.

ავსტრალიის საცხენოსნო კლუბის მესვეურებმა დისკვალიფიკაცია გამოუტანეს პრესტიჟული ტურნირის „მელბურნის თასის“ სამგზის გამარჯვებულს, რომელსაც არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ მის ცხენს დოპინგი ჰქონდა მიღებული. სასჯელი ლმობიერია, ვინაიდან მხედარი იმისთვისაა დასჯილი, რომ არ გააკონტროლა სტარტისთვის ცხოველის მომზადება.

რაც შეეხება ფრიდმანის მეჯინიბეს, მან დანაშაული თავის თავზე აიღო. იგი გამოტყდა, რომ ცხენს უყრიდა აკრძალულ პრეპარატებს.

რალი

ჯერ არ დაწყებულა და...

დღეს სტარტს მიეცემა ავტორალი „პორტუგალიის გარშემო“, გუშინ კი, იმ დროს, მონაწილეები ტრასას რომ ეცნობოდნენ, ცეცხლი გაუჩნდა არმინ შვარცის „შკოდას“. ბედად იქვე გაჩნდა ფრანგი მრბოლი ფრანსუა დელკური, რომელმაც ორი ცეცხლმაქრით უვნებელჰყო ხანძარი.

პრობლემები შეექმნათ „პეჟოს“ ბანაკშიც: ტრასის ერთ-ერთ მონაკვეთზე ბორბალი მოძვრა მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის მარკუს გრონხოლმის მანქანას. ყველა ავტომობილი სტარტამდე შეაკეთეს.

და მაინც ქალი!

გერმანელი მრბოლი ქალის იუტა კლაინშმიდტის ტრიუმფმა „პარიზი-დაკარის“ ბოლო რალიში მამაკაცები შოკში ჩააგდო. ამ მოვლენის კომენტარისაგან თავი შეიკავეს მსოფლიოს რჩეულმა ოსტატებმა, ხოლო ერთ-ერთმა, ფრანგმა ჟან-ლუი შლესერმა საერთაშორისო საავტომობილო ასოციაციის სასამართლოშიც კი იჩივლა — კლაინშმიდტს წესების დარღვევით მიანიჭეს პირველობაო.

აი, სააპელაციო სასამართლოს ვერდიქტიც — შლესერის სარჩელი უსაფუძვლოა და იუტა კლაინშმიდტმა სამართლიანად მოიპოვა რჩეული მრბოლის ტიტული.

ფეხბურთი

ფიფა შეუვალია — გვინეას დისკვალიფიკაცია ეშველება

ამას წინათ, გვინეას მთავრობამ გადადგა ნაბიჯი, რომელმაც ფიფას რისხვა გამოიწვია: ამ აფრიკული ქვეყნის მამებმა ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი დაშალა. ფიფამ ინფორმაციის მიღებისთანავე, შეუთვალა გვინეას ხელისუფალთ, სასწრაფოდ გაეუქმებინათ ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ამაოდ.

ფიფას ხუმრობა არ უყვარს. იგი ჯერ აფრთხილებს, მერე კი მოქმედებს. ასე იყო ამჯერადაც — მან აფრიკული ზონის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სამხრ. აფრიკის რესპუბლიკისა და გვინეას შორის გააუქმა და წაგება ჩაუთვალა, არადა, სწორედ ეს ნაკრებები უდგანან სათავეში „E“ ჯგუფს. თუ ფიფამ გვინეას გუნდის მეორე თამაშიც აკრძალა, იგი ჯგუფიდან გასვლის ყველა შანსს დაკარგავს.

ლინარესის სუპერტურნირი

კასპაროვი – 7,5, დანარჩენები – 4,5

ასეთი თავისებური შედეგები არც ერთ სუპერტურნირს არ ახსოვს. მსგავსი შეჯიბრება კი წელიწადში 4-5 მაინც ტარდება.

ლინარესის სუპერტურნირში ერთი რამ თავიდანვე ცხადი იყო: პირველ ადგილს გარი კასპაროვი დაიკავებდა. არ შეიძლებოდა მხოლოდ იმის გამოცნობა, საბოლოოდ რამდენ ქულას მოაგროვებდა, ან ვინ გავიდოდა მეორე ადგილზე, მაგრამ, ის, რაც საბოლოოდ, ათი ტურის შემდეგ მოხდა, მაინც გარკვეულწილად მოულოდნელი იყო.

კასპაროვის საბოლოო შედეგი — 7,5 ქულა ათიდან, შესაძლებელი მაქსიმუმის 75 პროცენტი, 5 მოგება და 5 ყაიმი, არც ერთი წაგება, მაინც მეტისმეტად მაღალია სუპერტურნირისათვის. რა თქმა უნდა, კასპაროვი, ყველა ადრინდელ ასეთ შეჯიბრებაშიც იმარჯვებდა, მაგრამ მისი უპირატესობა მეორე ადგილზე გასულ დიდოსტატებთან შედარებით არ იყო ასეთი აშკარა: ხან მას ნახევარი ქულით მეტი ჰქონდა, როგორც ამას წინათ ვიკ-ან-ზეეში, ზოგჯერ ერთით და მეტითაც, მაგრამ ამჯერად მან 3 ქულით მეტი (!) მოაგროვა, რაც სრულიად უნიკალურ შედეგად უნდა ჩაითვალოს. არასოდეს მომხდარა ისიც, რომ ტურნირის ყველა დანარჩენმა ხუთივე მონაწილემ: იუდით პოლგარმა, ალექსეი შიროვმა, პეტერ ლეკომ, ანატოლი კარპოვმა და ალექსანდრ გრიშჩუკმა ქულათა ერთნაირი რაოდენობა — 4,5-4,5 ქულა მოაგროვა.





პროფესიული კრივის სამყაროში

ლიუისი სჭირდება ტაისონს, თუ ტაისონი ლიუისს?

იმ ოფიციალურ გამოწვევას, რომელიც ამას წინათ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მაიკ ტაისონმა გააკეთა, რომ მზადაა შეხვდეს მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონს WBC და IBF-ს ვერსიებით ბრიტანელ ლენოქს ლიუისს, კარგა ხნის „ცივი ომი" უძღვოდა წინ.

ტაისონმა უკვე დაავალა თავის მენეჯერ შელი ფინკელს დაიწყოს მოლაპარაკება ბრძოლის შესახებ, რომელიც, სავარაუდოდ, გაიმართება ივლისში. საქმე ისაა, რომ ლენოქსი რკინის მაიკს საბრძოლველად იწვევდა 1999 წლის 13 ნოემბრიდან, როცა სძლია ევანდერ ჰოლიფილდს და მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მაგრამ ტაისონი არ ჩქარობდა. პასუხის ნაცვლად ლანძღვა-გინებას უთვლიდა და შეჰმითაც ემუქრებოდა, რაც იმით მთავრდებოდა, რომ ჯერ მზად არ იყო ლიუისთან შესახვედრად.

ამ პასიურობაში, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად შიშიც ერია. ამას მოწმობს ისიც, რომ იგი დროდადრო ინკოგნიტოდ ესწრებოდა ლიუისის ოფიციალურ თუ საწვრთნელ ბრძოლებს. ეტყობა, ახლა ჩათვალა, რომ მზადაა მასთან შესახვედრად.

და მაინც, რაც ითქვა, არ ნიშნავს, რომ ლიუისი და ტაისონი მართლაც შეხვდებიან ერთმანეთს რინგზე, ვინაიდან ამ ბრძოლამდე, სულ ცოტა, ორი წინააღმდეგობაა.

პირველი — ტაისონის გუნდის პოზიცია ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით. ფინკელმა განაცხადა, რომ ტაისონის ჰონორარი უნდა სჭარბობდეს ლიუისისას, რადგანაც მაყურებელს, აქაოდა, უფრო მეტად სწორედ ტაისონი აინტერესებს. მენეჯერს გაგონებაც კი არ უნდა, რომ ეს პირობა მიუღებელია, ვინაიდან, ერთის მხრივ, ლიუისი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელია, მეორეც, ტაისონი ის აღარაა და თანდათან ჰკარგავს პოპულარობას, და ახლა ლენოქსი სჭირდება სწორედ მაიკს და არა მაიკი ლენოქსს.

მოკლედ, თუ ეს მოთხოვნა სასტარტო პოზიციაა მოსალაპარაკებლად რომ „შრომის ანაზღაურება თანაბრად" მოხდეს, ეს სულაც არაა ცუდი სვლა. მაგრამ თუ ფინკელი თავისასზე დადგა, რომ ტაისონს მეტი გადაუხადონ, ეს იმას ნიშნავს, რომ ტაისონის გუნდი ბრძოლის ჩატარების იმიტაციას უფრო დასჯერდება, ყველაფერ ამის ნამდვილი მიზანი კი ისაა, რომ ტაისონმა თავი აარიდოს ბრძოლას, რომელსაც ასე ითხოვს ლიუისი და აგრეთვე კრივის საზოგადოებრიობა.

ბრძოლის მოწყობის მეორე წინააღმდეგობაა ის, რომ ლიუისი და ტაისონი სავალდებულო კონტრაქტებით არიან დაკავშირებულნი სხვადასხვა ტელე არხთან — შესაბამისად, ნვო-სა და SHOWTIME-სთან, და უკანასკნელის თავკაცმა ჯეი ლარკინმა განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუთმობს კონკურენტს ტრანსლაციის უფლებას. თუმცა ლარკინი ნამდვილი ბიზნესმენია და არ შეელევა პრინციპს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცოტას გადაიხდიან. მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში თავმოყვარეობა და რეპუტაცია ფინანსურ გამორჩენაზე მეტი აღმოჩნდება, ვინაიდან ახლახან ორჯერ ვერ გაუძლო ნვო-ს დაწოლას: ევანდერ ჰოლიფილდიც კონტრაქტით იყო დაკავშირებული Showtime-სთან, მაგრამ მისი ორივე ბრძოლა ლიუისთან ნვო-მ გადასცა.

ვნახოთ. ჯერჯერობით ჯეი ლარკინი და ნვო-ს წარმომადგენელი სდუმან და უცდიან სატელეფონო ზარს — ან ერთი დარეკავს, ან მეორე!..

მაშ ასე, ეს „ნანატრი" ბრძოლა თანამედროვე რინგის ორ უპოპულარეს მებრძოლს შორის აღარ დახანდება. გაეონა .მისი მოწყობის კონკრეტულმა თარიღმა — 2001 წლის 21 ივლისი. მაგრამ საქმე ისაა, რომ კრივის ჩინოვნიკებს, პირველ ყოვლისა კი ტელევიზიას, „დიდი ფულის" გაკეთება სურს. ამიტომაც, ტელებიზნესის საქმოსნების აზრით ივლისი და აგვისტო „მკვდარი სეზონია" საკაბელო ჩვენებისათვის, ფული კი ტაისონ-ლიუისის ბრძოლის გარშემო ძალიან ბევრი ტრიალებს, რომ გარისკონ.

ახლავე ასახელებენ შემოსავალს, რასაც ეს ბრძოლა მოიტანს. ეს რაღაც 100 მილიონამდე დოლარი იქნება. მხარეები 30-30 მილიონ დოლარს მიიღებენ. თუ ასე მოხდა, მაშინ ეს ბრძოლა ყველაზე მაღალანაზღაურებადი იქნება პროფესიული კრივის ისტორიაში. ჯერჯერობით ასეთად მიჩნეულია ლიუის-ჰოლიფილდის მეორე ბრძოლა, როცა ორივე მოკრივემ 15-15 მილიონი დოლარი მიიღო.

იგი ოლიმპიადამ წარმოაჩინა

ზოგჯერ ასეც ხდება — დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში ხელმოცარული სპორტსმენები ამპლუას იცვლიან და ძალას სხვა სფეროში სცდიან. ასე დაემართა ახალზელანდიელ ტანმოვარჯიშე დევიდ ფილიპსს, რომელმაც სიდნეიში, ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში მხოლოდ 52-ე შედეგი აჩვენა: აბა, რისი იმედი უნდა ჰქონოდა — მაგალითად, ორძელზე გამოსვლისას იგი ოთხ წუთში ექვსჯერ ჩამოვარდა იარაღიდან.

ფილიპსის გამოსვლას შემთხვევით დაესწრო სახელგანთქმული კანადური ცირკის „სეკუს დე სოლეილის" ფენტი. არ ვიცით, რითი მოხიბლა იგი ახალზელანდიელმა ტანმოვარჯიშემ (იხილე იმან, როგორ დაენარცხა ძირს რამდენიჯერ), მაგრამ ასპარეზობის დასრულების შემდეგ ფილიპს კონტრაქტი გაუფორმა. ახლა ექსტანმოვარჯიშე ოთხთვიან მოსამზადებელ ციკლს გადის და მალე ცირკის არენაზე გამოვა.

ა. ხაჩიძე, თ. კუპავა, ჯ. გაბისონია, ა. დუმბაძე, ს. ბუინოვი, დ. კახიანი, თ. ჯაფარიძე, ბ. ბეგაძე, რ. შუღლიაშვილი, თ. ბასიკაძე, თ. ნიჟარაძე, ო. ჩხარტიშვილი ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან (ლევიკო) თურმანიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ფორმულა–1

პილოტებს არ დასცხებათ

ამბობენ ახალ სეზონში სკუდერია „ფერარის" სიახლეს უმზადებს — ჟილეტს გამაგრილებელი სისტემით, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ პილოტებმა განსაკუთრებით ცხელ ამინდში. ჟილეტები, რომელიც დაამუშავა ავსტრალიის სპეცსამსახურმა თავიანთი თანამშრომლებისა და სამხედრო მოსამსახურეებისათვის, პოლიმერული მასალისაგან შედგება, „სარჩულად" უდევს ცირკულირებადი ცივი სითხე.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



9 მარტი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ოვერტაიმი (11.25), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (20.00), ***HTB პლუს სპორტი.*** კალათბურთი. სუპერლიგა (11.40), ნბა-ს მიმოხილვა (13.40, 1.20), ცხენოსნობა. კონკური (14.50), ტაილანდური კრივი (18.00), წყალხტომა. საერთაშორისო შეჯიბრება (18.55), სამბო (21.00), სპორტული ცეკვა, ფინეთიდან (21.30), ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (10.30), აშშ-ის ფეხბურთი (11.30), ჩემპიონთა ლიგა (12.30, 14.30), იტალიის ჩემპიონატი „რომა" – „მილანი" (22.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. უეფას თასი (12.00), მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი დარბაზებისთვის (14.00, 20.00, 23.00), თხილამურები „ჩრდილოეთის კომბინაცია" (18.30, 19.00, 21.00). ***HTB პლუს ფუთბალ.*** ჩემპიონთა ლიგა. „პანათინაიკოსი" – „მანჩესტერ იუნაიტედი (14.20), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (16.10), შოტლანდიის ჩემპიონატი (17.15, 20.55), ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (20.10), გერმანიის ჩემპიონატი „ბაიერი" – „ვერდერი" (23.10) იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.20).

10 მარტი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (22.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***HTB პლუს სპორტი.*** კალათბურთი: ნბა-ს ჩემპიონატი (11.40), ევროლიგის მატჩების მიმოხილვა (20.50), კრივი. „დიდი რინგი" (21.40), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (21.30, 22.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (14.30), ***EUROSPORT.*** სპორტის ზამთრის სახეობები. მსოფლიო თასი (16.30; 18.00, 20.00), მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი დარბაზებისთვის (21.00), ცხენოსნობა (0.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.30, 4.15), ***HTB პლუსფუთბალ.*** გერმანიის ჩემპიონატი: „ბაიერი" – „ვერდერი" (13.15), ჰოლანდიის (16.15, 23.25), გერმანიის (18.25) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

11 მარტი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. სპორტული პროგრამა (19.20), ***HTB პლუს სპორტ.*** კალათბურთი: ევროლიგის მატჩების მიმოხილვა (15.00), ნბა (22.35), ტაილანდური კრივი (1.35), ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა (09.00, 15.30, 22.00, მიმოხილვა), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (12.00), ***EUROSPORT.*** სპორტის ზამთრის სახეობები. მსოფლიო თასი (11.30, 13.00, 14.00, 15.30, 16.30, 20.00), მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი დარბაზებისთვის (21.15), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.30, 3.45). ***HTB პლუსფუთბალ.*** გერმანიის (13.15), ესპანეთის (15.10, 1.35), ჩემპიონთა ლიგის (17.00), იტალიის (17.55, 23.25) ჩემპიონატები და მიმოხილვა.



კროსვორდი №19

თარაზულად: 4. შეჯიბრების დასაწყისი, 6. შეჯიბრებაში დაწინაურებული, 9. გერმანელი ჩოგბურთელი ვაჟი, 11. სპორტული ნავი, 12. კურორტი თურქეთში, 14. აღმოსავლური სამაგიდო თამაში, 16. სპორტკომპლექსი თბილისში, რომლის სახელი გაიგივებულია ოპტიმიზმთან, 19. სატანვარჯიშო იარაღი, 21. მოლდოველი ფეხბურთელი, 22. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 23. ზამთრის სპორტის სახეობა, 24. ... კოშტა, 27. ველოსტადიონი, 29. კანადელი მორბენალი ვაჟი, 30. ტერმინი რაგბში, 31. იტალიელი ფეხბურთელი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 33. წარსულში ცნობილი ქართველი ფალავანი, 35. 80-იანი წლების ჰოლანდიელი ფეხბურთელი, ფორვარდი ვან..., 36. წარსულში ცნობილი ქართველი მძლეოსანი ქალი, 37. წარსულში იტალიაში მოთამაშე არგენტინელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 38. ჩილელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი.

შვეულად: 1. ჰოლანდიელი ფეხბურთელი, მცველი, 2. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 3. ქართველი საფეხბურთო მწვრთნელი, 5. ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე, 7. ბრაზილიელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 8. რუსეთის საფეხბურთო კლუბი, 10. თავისუფალი მცველი, 13. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 15. წარსულში საქართველოს ტანმოვარჯიშე ქალი, 17. კახი კალაძის თანაგუნდელი, 18. წარსულში ქართველი ტანმოვარჯიშე ვაჟი, 20. უკრაინელი ჰოკეის მხტომელი ვაჟი, 25. ჯილდო, 26. ფრანგი ფეხბურთელი ნახევარმცველი, 28. ხონის საფეხბურთო კლუბი, 29. ფრანგი ფეხბურთელი მეკარე, 32. იუგოსლავიის საკალათბურთო კლუბი, 34. წარსულში ბრაზილიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 35. ავსტრიელი საფეხბურთო მსაჯი.

№18 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ლაზიერი, 7. იაშვილი, 8. ოლისადები, 11. ლახტი, 14. განეა, 15. „ციურიხი", 16. უგრინი, 17. „ოდენსე", 21. სვანაძე, 22. ბრიტო, 23. ონილი, 26. მეტრეველი, 27. ემერიხი, 28. ასანიძე. **შვეულად:** 1. სარარაძე, 2. კროლი, 3 რაგბი, 4. „ალბასეტე", 6. ბლატერი, 9. შტანგისტი, 10. კაპუსტინი, 12. ვილნევი, 13. ცხადაძე, 18. „მარიტიმუ", 19. ანდიევი, 20. ბალავაძე, 24. მესხი, 25. კლოსი.

საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი



თვითშამათი 5 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლ:h7! 1. ...ე:b3 2. ეc6X.
1. ...მge4 2. ეd6X. 1. ...ეa7 2. ეg7X.
1. ...ეa8+ 2. ეg8X. 1. ...ე:f8 2. ეe6X.
1. ...ეh1 2. ეh6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.